პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 თებერვალი
კვირა
1972
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 49 (15262)

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა მუშათა კლასის მეთაურობით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყველა საბჭოთა ხალხის რევოლუციური შემოქმედების თვალსაჩინო შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ".

50

მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმე

ამას წინათ გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ", რომლის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ჩვენი ხალხის ძალისა და შემოქმედებითი ძლიერების ღრმა რწმენით, რწმენით რომ საბჭოთა კომუნისტების 14-მილიონზე მეტი არმია მუდამ მზად არის იყოს დროის, კომუნისტური მშენებლობის მზარდ ამოცანათა მოთხოვნების დონეზე. ეს დადგენილება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა პარტიისა და ხალხის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახალ სტიმულს აძლევს მასების შემოქმედების შემდგომ აქტივიზაციას, კომუნისტების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის სრულყოფას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. დადგენილებას მხურვალედ და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ყველა საბჭოთა ადამიანმა.

ჩვენ სიამაყით ვავლებთ თვალს პარტიის ჭეშმარიტად ტიტანურ მუშაობას საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განუხრელი გადიდებისათვის, სოციალისტურ ერთა ნებაყოფლობითი კავშირის ყოველნაირი განმტკიცებისათვის. პოლიტიკა, ხშირად უთქვამს ვ. ი. ლენინს, ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა. ჩვენი პარტიის მიერ ეროვნული საკითხის ღრმად მეცნიერული, ისტორიის მთელი მსვლელობით დადასტურებული და მკაცრი განსაცდელის ქარცეცხლში შემოწმებული გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად სწორედ იმით აიხსნება, რომ მიღწეულია საბჭოთა საზოგადოების ღრმა გარდაქმნები, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური გარდაქმნების ბაზაზე. მიღწეულია ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის საფუძველზე, რომლებმაც უზრუნველყვეს საბჭოების ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნამდვილი თანასწორუფლებიანობა, აყვავება და დაახლოება.

ლვიძლ ნათესაობაზე უფრო აკავშირებს ჩვენი სამშობლოს ხალხებს სოციალური და იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, საერთო ინტერესები და მიზნები, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულება, ნდობა და ერთმანეთისათვის ზრუნვა, რომლებიც ახასიათებენ ეროვნული ურთიერთობის არსს განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში. ყოველივე ეს განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა შემდგომი კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ გეგმებში, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა.

თავდადებული შრომით უპასუხებენ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ალვნიშნოთ სახელოვანი იუბილე ახალი მიღწევებით ეკონომიკის განვითარებაში, კულტურულ მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. სულ უფრო მასობრივი და მრავალმხრივი ხდება სოციალისტური შეჯიბრება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის, რომელიც მოწინავე კოლექტივებმა წამოიწყეს. ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივა, მათი შრომითი აქტივობა უნდა წარვმართოთ ხუთწლედის მეორე წლის გეგმების, ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. სოფლის კომუნისტები მოწოდებული არიან გააძლიერონ ბრძოლა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ მომზადებისათვის, უჩვენონ მომავალი მოსავლისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ზრუნვის პირადი მაგალითი.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ჩამოყალიბებულ კონკრეტულ მითითებათა და რეკომენდაციათა განხორციელება პარტიული ორგანიზაციების დიდ მუშაობას მოითხოვს. ახლა, დაუყოვნებლივ და კარგად უნდა გავიაზროთ ამ მუშაობის გეგმები თვითეულ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში, ოკრუგში, ქალაქსა და რაიონში, თვითეულ კოლექტივში. ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ახსნა-განმარტების დროს უნდა ვუჩვენოთ პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საბჭოთა ქვეყნის უდიდესი წარმატებები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ყველა ღონისძიება გამსჭვალული უნდა იყოს ზრუნვით მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებისათვის. ხელს უნდა უწყობდეს კომუნისტური იდეალების აქტიურ პროპაგანდას და რაზმავდეს მასებს კომუნისტური მშენებლობის ახალი მიჯნების მისაღწევად.

„ინტერნაციონალური აღზრდა, — ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — თვითეულ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, თვითეულ კოლექტივში ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მთელი ჩვენი ცენტრალური და ადგილობრივი კადრების ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა".

მომავალი იუბილესათვის მზადებამ ყველგან უნდა შეუწყოს ხელი ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცხოველმყოფელი პრინციპებისა და პარტიის საპროგრამო დებულებების სულ უფრო ღრმა განმარტებას. სსრ კავშირის შექმნა დიდი ოქტომბრის საქმის უშუალო გაგრძელება იყო და ღირსეულად დააგვირგვინა კომუნისტური პარტიის თანმიმდევრული ლენინური ეროვნული პოლიტიკა. და მეტად საჭიროა, რომ საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმოდეთ მისი განხორციელების თავისებურებანი თანამედროვე პირობებში, ერთა შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზები.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მტკიცე ბრძოლას ნაციონალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობს აალორძინოს და გააძლიეროს ნაციონალისტური განწყობილებანი, შეხედულებანი და ცრურწმენანი, გამოიყენოს ისინი სოციალისტური წყობილების შიგნიდან გატეხისათვის, ეროვნულ ნიადაგზე მშრომელთა სხვადასხვა რაზმის გათიშვისათვის. კომუნისტური, ინტერნაციონალისტური აღზრდის ყველა საკითხში უნდა ვახორციელებდეთ მკაფიო კლასობრივ გეზს, რომელიც შეუთავსებელია ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყოჩობის, კუთხურობისა და შოვინიზმის ოდნავ გამოვლინებასთან, უკომპრომისო, მტკიცე პასუხი გავცეთ იდეურ მოწინააღმდეგეთა გამოხდომებს, ყოველნაირ რევიზიონისტულ მერყეობას.

პარტიულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდას, აზიარონ ახალგაზრდობა განვითარებული სოციალიზმის სულიერ ღირებულებათა საგანძურს, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს.

ახლა იზრდება პროპაგანდისტთა, აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა, პრესის, ტელევიზიის, რადიოს, იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბნის მუშაკთა როლი და პასუხისმგებლობა. მათი მოქმედების გააზრებული კოორდინაცია, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ დიდი ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადების დროს შეძენილი საუკეთესო გამოცდილება.

ჩვენი სამშობლოს ისტორიის სახელოვანი თარიღის ღირსეულად შეხვედრა საბჭოთა ადამიანების პატრიოტული მისწრაფება, მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა. ძალღონით ალსავსე, მშობლიური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული ჩვენი ხალხი მტკიცედ მიაბიჯებს მომავლისაკენ, კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ.

ПРАВДА

26 თებერვლის მოწინავე

დამკვრელური შრომის ზეიმი

თბილისის კომუნისტური შრომის დამკვრელთა საზეიმო კრების მონაწილენი, დედაქალაქის სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან) სოციალისტური შრომის გმირები ბ. ჭეხაშვილი (ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისანი"), ვ. ასათიანი (საავიაციო ქარხანა), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ხოკურაშვილი (№ 1 სამკერვალო ფაბრიკა), მ. აკოფოვი (26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანა), სოციალისტური შრომის გმირები ი. ხვედელიანი (საავიაციო ქარხანა), ვ. ბოროდავკა (ფოლად-თუჯსამსხმელი ქარხანა), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. კოლესნიკი (ქარხანა „მიკროძრავი"), სოციალისტური შრომის გმირები ვ. ჭელიძე (მთავართბილმშენის № 10 სამშენებლო სამმართველო), კ. ლუგავსკი, გ. ოზოლაძე (თბილგვირაბმშენის სამმართველო), კ. ილურიძე (ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა), ვ. ემნაძე № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

თბილისის კომუნისტური შრომის დამკვრელთა საზეიმო კრება

გუშინ, თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა დედაქალაქის კომუნისტური შრომის დამკვრელთა საზეიმო კრება. აქ შეიკრიბნენ ქალაქის სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა ნოვატორი მუშები, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოწინავე მუშაკები, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ი. შმარღნაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ასათიანი, თბილგვირაბმშენის სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ლუგავსკი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი, № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ხოკურაშვილი, სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ბოგვერაძე, ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი ა. მასხარაშვილი, საქართველოს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ალავიძე, სამხედრო მოსამსახურე, სერჟანტი ა. კუშნარიოვი, 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატი მ. აკოფოვი, „მთავართბილმშენის" მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ჭელიძე, ცენტრალური უნივერმაღის გამყიდველი ქ. მსიტაშვილი, პოეტი ი. ნონეშვილი.

თბილისის კომუნისტური შრომის დამკვრელთა საზეიმო კრებამ მიიღო მიმართვა დედაქალაქის ყველა მშრომელისადმი. მიმართვის ტექსტი კრებას გააცნო დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხვედელიანმა.

კრებას დაესწრნენ ამხანაგები შ. ჭანუყვაძე, ნ. ცხაკაია, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ამხანაგი ჰო დამი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა 25 თებერვალს მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგი ჰო დამი, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება კორეის ნახევარკუნძულზე მდგომარეობის შესახებ. ამხ. ჰო დამმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს გააცნო დემოკრატიულ საწყისებზე, სამხრეთ კორეიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გაყვანის პირობით და გარედან რაიმე ჩარევის გარეშე, კორეის მშვიდობიანი გაერთიანების პროგრამა, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ წამოაყენა.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ამხ. ჰო დამმა დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც მტკიცედ და თანმიმდევრულად უჭერენ მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის აღმოფხვრისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველი ღონისძიებით დაუჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლას კორეის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის, სამხრეთ კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანისათვის. საბჭოთა კავშირში ღრმა გაგებითა და სოლიდარობით შეხვდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს, მათ შორის წინადადებებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის სამშვიდობო შეთანხმების დადებისა და მოლაპარაკების შესახებ, რაც სახავს დემოკრატიულ საწყისებზე ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისა და კორეის ნახევარკუნძულზე ვითარების ნორმალიზაციის ახალ და დიდ შესაძლებლობებს.

შეხვედრის დროს, რომელიც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები და ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. გ. სუდარიკოვი; კორეის მხრივ იყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კვონ ჰი გენი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ბელგრადში გაემგზავრა

26 თებერვალს მოსკოვიდან ბელგრადში გაემგზავრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰო დამის მეთაურობით. დელეგაცია მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-475"

1972 წლის 25 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-475".

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

ბროშურად გამოიცა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 21 თებერვლის დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის მზადების შესახებ".

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

ხელი მოაწერეს თანამშრომლობის პროგრამას

24 თებერვალს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის საზოგადოებრიობას შორის 1972 წლის კულტურული და მეცნიერული გაცვლის პროგრამას.

მეგობრული ურთიერთობისა და ურთიერთგაგების შემდგომი განმტკიცების მიზნით მხარეები მოაწყობენ ლექციებს, სიმპოზიუმებს, კინოგასინჯვებსა და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც გააცნობენ ორივე ქვეყნის ხალხთა ცხოვრებას. სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად იაპონიაში გაიხსნება გამოფენა „განვითარებადი ციმბირი". დასახულია მეცნიერთა, სპეციალისტთა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციების, აგრეთვე ფოტოგამოფენების, რადიოპროგრამებისა და ტელეპროგრამების ფართო გაცვლა.

მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოპოვამ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის იაპონიის ასოციაციის პრეზიდენტმა პროფესორმა სიგეესი მაცუმაემ, რომლებმაც ხელი მოაწერეს დოკუმენტს, მაღალი შეფასება მისცეს ორი ქვეყნის საზოგადოებრიობის კავშირურთიერთობას.

(საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

ტასის ცნობა

თვალსაჩინო კოსმოსური ექსპერიმენტი დამთავრდა!

საბჭოთა კოსმოსურმა მეცნიერებმა და ტექნიკამ ახალი გამარჯვება მოიპოვა მთვარის კვლევის დარგში. წარმატებით შესრულდა „ლუნა-20" ავტომატური სადგურის ფრენის პროგრამა.

1972 წლის 25 თებერვალს „ლუნა-20" ავტომატური სადგურის დასაბრუნებელი აპარატი დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში. ბრწყინვალედ გადაწყდა მთვარის შესწავლის მორიგი ამოცანა. აპარატმა დედამიწაზე ჩამოიტანა მთვარის გრუნტის ნიმუშები, რომლებიც პირველად არის აღებული მთვარის მატერიკის ძნელად მისადგომ რაიონში.

რთული კოსმოსური ექსპერიმენტი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა.

„ლუნა-20" ავტომატური სადგური გაუშვეს 1972 წლის 14 თებერვალს. კოსმოსში 105 საათის ფრენის შემდეგ სადგური გავიდა სელენოცენტრულ ორბიტაზე. 19 თებერვალს განხორციელდა მისი კორექცია მთვარის გათვალისწინებულ რაიონში დაჯდომის უზრუნველსაყოფად.

21 თებერვალს 22 საათსა და 19 წუთზე მოსკოვის დროით „ლუნა-20" ავტომატური სადგური რბილად დაჯდა მატერიკის მთიან რაიონში სიუხვის ზღვასა და კრიზისების ზღვას შუა. ამასთან წარმატებით გადაწყდა ზედაპირის რთულრელიეფიან რაიონში ავტომატური აპარატის დაჯდომის მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანა.

დაჯდომისა და საბორტო სისტემების მდგომარეობის შემოწმების შემდეგ ჩართეს ტელეფოტომეტრიული მოწყობილობანი. მათი საშუალებით მიღებულმა მთვარის ზედაპირის გამოსახულებებმა შექმნეს შესაძლებლობა აერჩიათ ადგილი გრუნტის სინჯის ასაღებად. ყველა ოპერაცია გრუნტის ასაღებად მიმდინარეობდა დედამიწიდან მიღებული კომანდებით. გრუნტის ასაღებმა მექანიზმმა გაბურღა მთვარის გრუნტი და აიღო მისი ნიმუშები, რომლებიც შემდეგ დასაბრუნებელი აპარატის კონტეინერში მოთავსდა და ჰერმეტიზებულ იქნა.

მთვარეზე სადგურის მუშაობის პერიოდში ზუსტდებოდა სადგურის ადგილმდებარეობის კოორდინატები და მზადდებოდა სტარტი.

23 თებერვალს 1 საათსა და 58 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსურმა რაკეტამ პლატფორმად გამოიყენა დასაჯდომი საფეხური და დასაბრუნებელ აპარატთან ერთად აფრინდა მთვარიდან.

მთვარე-დედამიწის ტრასაზე ფრენისას რადიოკავშირის სეანსების დროს საკომანდო-საზომი კომპლექსის დედამიწისეული სადგურები იღებდნენ ტელემეტრიულ ინფორმაციას და აწარმოებდნენ ტრაექტორიულ გაზომვებს. მიღებულ მონაცემებს ამუშავებდა საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი საბორტო სისტემების მდგომარეობისა და ფრენის ფაქტიური ტრაექტორიის კონტროლის მიზნით.

25 თებერვალს „ლუნა-20" სადგურის კოსმოსური რაკეტა მეორე კოსმოსური სიჩქარით მიუახლოვდა დედამიწას. გათვალისწინებულ დროს დასაბრუნებელი აპარატი ჩამოშორდა კოსმოსურ რაკეტას. ამის შემდეგ დედამიწაზე დაჯდომამდე დასაბრუნებელი აპარატის ფრენას უთვალთვალებდნენ დედამიწისეული რადიოსალოკაციო საშუალებებით.

დედამიწის ატმოსფეროს მჭიდრო ფენებში დასაბრუნებელი აპარატის შემოსვლისას დაიწყო აეროდინამიკური დამუხრუჭება. მის ბოლო მონაკვეთზე ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა, და 22 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის დროით დასაბრუნებელი აპარატი ზუსტად დაეშვა გათვალისწინებულ რაიონში ყაზახეთის სსრ ქალაქ ჯეზკაზგანის ჩრდილო-დასავლეთით 40 კილომეტრზე.

უაღრესად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების — ძლიერი ქარის, ქარბუქისა და დაბალი ღრუბლიანობის მიუხედავად საძიებო სამსახურმა უზრუნველყო დასაბრუნებელი აპარატის ევაკუაცია.

რთული კოსმოსური ექსპერიმენტის ყველა ეტაპი — სადგურის ფრენა მთვარისაკენ და სელენოცენტრულ ორბიტაზე რბილად დაჯდომა ზედაპირზე, გრუნტის აღება, მთვარიდან აფრენა და დედამიწაზე დაბრუნება — მიმდინარეობდა ზუსტად პროგრამის შესაბამისად.

მთვარის გრუნტის ნიმუშებს, რომლებიც ავტომატურმა აპარატმა ჩამოიტანა მთვარის მატერიკის ნაწილიდან, სამეცნიერო კვლევისათვის გადასცემენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. მთვარის ახალი რაიონიდან აღებული გრუნტის სინჯის შესწავლისა და ანალიზის მეშვეობით მივიღებთ მონაცემებს, რომლებიც გააფართოებენ ჩვენს ცოდნას მთვარის ბუნებისა და ევოლუციის შესახებ.

მთვარის გრუნტის ნიმუშების კვლევის შედეგები გამოქვეყნდება.

„ლუნა-20" საბჭოთა სადგურის ფრენამ ერთხელ კიდევ ცხადყო ავტომატური აპარატების საშუალებით მთვარისა და პლანეტების კვლევის ფართო შესაძლებლობანი და ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა მსოფლიო კოსმონავტიკის ისტორიაში.

კომპოზიტორები ანგარიშს აბარებენ მეომრებს

კარგი ტრადიცია დაამკვიდრეს ქართველმა კომპოზიტორებმა: დიდი ხანია ისინი მეგობრობენ ამიერკავკასიელ მეომრებსა და მესაზღვრეებს. სახელოვანი საბჭოთა მეომრები, ჩვენი სამშობლოს საზღვრების გუშაგები იგებენ, თუ რაზე მუშაობენ ქართველი კომპოზიტორები, ეცნობიან მათ ახალ ნაწარმოებებს.

დიდ ზეიმად გადაიქცა მეომრებთან ამიერკავკასიელ კომპოზიტორთა ტრადიციული შეხვედრა, რომელიც თავისებური შემოქმედებითი ანგარიში იყო შესანიშნავი მოვლენის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის წინ.

ამ შემოქმედებითი შეხვედრის ცენტრი გახდა ერევანი, სადაც სამ კონცერტზე აჟღერდა სამხედრო-პატრიოტულ და ჰეროიკულ-პატრიოტული თემებისადმი მიძღვნილი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. შეხვედრებში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ბალანჩივაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი ო. გორდელი, ზ. კვერნაძე, ლ. იაშვილი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამხედრო-საშეფო მუშაობის კომისიის თავმჯდომარე ა. ზახკაკოვი, კომპოზიტორი თ. ხუციშვილი.

დასკვნით კონცერტში, რომელიც სომხეთის ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა, მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ტ. მალიშევა, ი. ცხომელიძე, თ. ზაალიშვილი, საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი მ. დონაძე, კონცერტმაისტერი თ. სუხორუკოვა. კონცერტზე სხვა ნაწარმოებთა შორის აჟღერდა ლ. იაშვილის ახალი სიმღერა „ჩემი ლეიტენანტი".

მსმენელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ბალანჩივაძის საავტორო გამოსვლამ. მან შეასრულა ნაწყვეტები ბალეტიდან „მთების გული" და ოპერიდან „ოქროს ქორწილი". (საქდესი).

ხალხთა ძმობის სტრიქონები

ჭიათურა—უკრაინული გაზეთის ფურცლებზე

ოთხი ათეული წელია გრძელდება ქართველ და უკრაინელ მაღაროელთა შეჯიბრება მეტი მარგანეცისათვის. ორი მოძმე რესპუბლიკის მაღაროელთა მეგობრობასა და შრომას კარგად აშუქებენ ჭიათურისა და მარგანეცის საქალაქო გაზეთები.

ამას წინათ ჭიათურაში მოვიდა უკრაინის კპ მარგანეცის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანოს „შახტარ მარგანციას" ახალი ნომერი. მისი მესამე გვერდი ანშლაგით — „ძმური კავშირის განმტკიცებით მივდივართ კომუნიზმისაკენ" — მთლიანად მიძღვნილია ჭიათურისადმი.

გაზეთი ბეჭდავს ლენინის ორდენოსანი ჭიათურის მარგანტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს დირექტორის ს. კვარაცხელიას, ლენინის სახელობის მაღაროს სკრეპერის მემანქანის ბ. ნეფარიძის, გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" რედაქციის თანამშრომლების ვ. მასხარაშვილისა და თ. შეყილაძის წერილებს, რომლებიც მოგვითხრობენ მაღაროელთა შრომასა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაზე.

აქვე დაბეჭდილია მაღაროელ ბ. ნეფარიძისა და ჭიათურის სამმხრივი სახალხო საჰაერო-საბაგირო გზის ფოტოები.

„მეგობრობა გზად და ხიდად"

გაზეთმა „ჭიათურის მაღაროელმა" ასეთი ანშლაგით დასტამბა მეორე და მესამე გვერდები. მასალები მოამზადა მოძმე ბელორუსიის სვეტლოგორსკის რაიონული გაზეთის „ამნი კომუნიზმას" რედაქციამ. ხალხთა მეგობრობის დიად ძალას ეძღვნება „ჭიათურის მაღაროელის" მოწინავე წერილიც.

ჭიათურელთა და სვეტლოგორსკელთა მეგობრობა სისხლით არის განმტკიცებული. ბელორუსიის განთავისუფლებას შეეწირა ჭიათურელი ჭაბუკი, საბჭოთა კავშირის გმირი სერგო ჭილაძე. იგი დაკრძალეს სვეტლოგორსკის რაიონის სოფელ დუბროვოში.

„ჭიათურის მაღაროელი" ბეჭდავს სვეტლოგორსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ნ. მიტროხოვიჩის საუბარს „ნათელი მომავლის ქალაქი". აქვე დასტამბულია სამშენებლო ტრესტის მმართველის ვ. ბუტკოვიჩის, ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. ფედირენკოს, საბურღო სამუშაოთა სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსის ე. კუცევას, რკინაბეტონის კონსტრუქციის ქარხნის ბრიგადირის ა. კოვტუნის, ცელულოზა-მუყაოს კომბინატის მუშის კ. ობატოვას, ტორფის საწარმოს პარტბიუროს მდივნის ჰ. კოზლოვის წერილები, ფოტოსურათები.

ავტორები მკითხველებს მოუთხრობენ სვეტლოგორსკელთა შრომასა და ყოფაცხოვრებაზე, ხალხთა ლენინურ მეგობრობაზე, ხუთწლედის ამოცანებზე.

„ჭიათურის მაღაროელმა" შემცველი მასალები გაუგზავნა გაზეთ „ამნი კომუნიზმას" რედაქციას

საბჭოთა კავშირ-სირიის შეთანხმება

დამასკო, 26 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). აქ ხელი მოაწერეს სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას შორის შეთანხმებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ეკონომიურად და ტექნიკურად შეუწყობს ხელს სირიის არაბთა რესპუბლიკას.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა აქ ოფიციალური მეგობრული ვიზიტით მყოფი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა.

სირიის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა აბდელ რაჰმან ჰლეფაუიმ.

შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიაზე აბდელ რაჰმან ჰლეფაუიმ განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი ახალი ნაბიჯია ყველა დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების გზაზე. ჩვენი ხალხი, თქვა მან, დიდად აფასებს სსრ კავშირთან მეგობრობას და დროებით ფაქტორად არ მიაჩნია ეს მეგობრობა, რომელსაც პრინციპული საფუძველი აქვს.

კ. ტ. მაზუროვმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკების დროს მხარეებმა განიხილეს როგორც ღონისძიებანი სირიის არაბთა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ისე ზომები იმ ობიექტების წარმატებით მშენებლობისათვის, რომელშიც საბჭოთა კავშირი მონაწილეობს, აგრეთვე მომავლის გეგმები.

ჩვენი აზრით, თქვა კ. ტ. მაზუროვმა, ხელმოწერილი შეთანხმება სსრ კავშირსა და სირიის არაბთა რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ახალი გამოვლინებაა და ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ჩვენი მეგობრობა გულწრფელია, მიზნად ისახავს ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ყველა ხალხთა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

მეგობრულ ვითარებაში

დამასკო, 26 თებერვალი. (საქდესი). სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა დღეს მიიღო სირიაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოსული საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი.

მათ შორის გაიმართა საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, რომელმაც მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

დამასკო. 26 თებერვალი. (საქდესი). სსრ კავშირის ელჩმა სირიის არაბთა რესპუბლიკაში ნ. ა. მუხიტდინოვმა დარბაზობა გამართა იმასთან დაკავშირებით, რომ აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი.

დარბაზობაზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდელ რაჰმან ჰლეფაუი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის სრულიად არაბეთისა და რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრები, სხვა ოფიციალური პირები.

კ. ტ. მაზუროვმა და აბდელ რაჰმან ჰლეფაუიმ წარმოთქვეს სიტყვები.

ანჯელა განაგრძობს ბრძოლას

ნიუ-იორკი, 25 თებერვალი. (საქდესი). ანჯელა დევისმა საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ სან-ხოსეში გამართულ თავის პირველ პრეს-კონფერენციაზე მოუწოდა „გააძლიერონ ბრძოლა შეერთებულ შტატებში ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისათვის".

ანჯელას აღელვებული ხმა შთაინთქა მამაცი კომუნისტის 200-მდე მეგობრისა და მომხრის, ანჯელა დევისის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ეროვნული გაერთიანებული კომიტეტის წევრების, კორესპონდენტების ტაშის გრიალში, რომლებმაც შეავსეს „სოლიდარობის ცენტრის" დარბაზი, სადაც იმყოფება კომიტეტის ადგილობრივი განყოფილება.

...მიმზიდველი ღიმილი, საყვარელი, მთელი მსოფლიოსათვის ნაცნობი სახე, რომელსაც დასტყობია საპატიმრო ჯურღმულებში 16 თვის ყოფნა... „ბედნიერი ვარ, რადგან, განთავისუფლებულს, შემიძლია კიდევ დიდი დახმარება გავუწიო ჩემს დებსა და ძმებს", — თქვა ანჯელამ და განაცხადა, რომ მისი საწინდრით განთავისუფლება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული საზოგადოებრიობის შეუპოვარი ბრძოლის მეოხებით.

„ეს მთელი ხალხის გამარჯვებაა, გამარჯვება, რომელიც ამტკიცებს, რომ დღეს პოლიტიკურ პატიმრებს უკვე ვეღარ გამოამწყვდევ განუსაზღვრელად ხანგრძლივი ვადით, რათა გატეხო მათი მისწრაფება ბრძოლისადმი", — დასძინა ანჯელამ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში მან წარადგინა თავისი ადვოკატები დორის უოკერი, მარგარეტ ბერნჰემი და მთავარი დამცველი ჰოვარდ მური, რომელიც გამოვა 28 თებერვალს სასამართლო პროცესზე. მოკლე შესავალ სიტყვაში მურმა დაცვის სახელით მადლობა გადაუხადა ანჯელას თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს და აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც მათ შეასრულეს მისი საწინდრით განთავისუფლებაში.

ნიუ-იორკში ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა, რომელიც თვითმფრინავის რეისის გაუქმების გამო ვერ ჩავიდა სან-ხოსეში, რათა დასწრებოდა პრეს-კონფერენციას, აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საპროტესტო მოძრაობას რასისტების მიერ ზანგი ხალხის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მამაცი მებრძოლის დევნის წინააღმდეგ. ამერიკელ კომუნისტთა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ანჯელას განთავისუფლება საწინდრით „პირველი დიდმნიშვნელოვანი გამარჯვებაა მისი სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში".

პეკინის შეხვედრები

21-დან 25 თებერვლამდე ჩათვლით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი აწარმოებდა მოლაპარაკებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში. მოლაპარაკების დღის წესრიგი შემუშავებული იყო ჯერ კიდევ პეკინში ეროვნული უშიშროების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის გ. კისინჯერის ორი წინა მოგზაურობის დროს, და უკვე მაშინ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ თვით მოლაპარაკების შინაარსს მეტად საიდუმლოდ შეინახავდნენ. ამიტომ თეთრი სახლის წარმომადგენელი პრესის საკითხებში ზიგლერი ჟურნალისტებთან შეხვედრების დროს სჯერდებოდა საქმის ფორმალურ მხარეს და თავს არიდებდა პასუხს ყველა კითხვაზე მოლაპარაკების არსის შესახებ.

ვიზიტი დაიწყო იმით, რომ მაო ძე-დუნმა მიიღო რ. ნიქსონი, რაც დაგეგმილი არ ყოფილა პირველი დღისათვის. მაო ძე-დუნმა, „ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველის კარნოუს თქმით, აკურთხა „პოტენციური შერიგება" ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის. შემდეგ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ოთხი ხანგრძლივი შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ჯოუ ენ-ლაისთან. პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს უ. როჯერსსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ძი პენ-ფეის შორის.

თუმცა საუბრების შინაარსს საიდუმლოდ ინახავდნენ, ამერიკელი კორესპონდენტები, რომლებიც პრეზიდენტს ახლავენ, უკვე ახლა გამოთქვამენ ერთ აზრს, რომ ორივე მხარე პრინციპულად შეთანხმდა იქონიონ მუდმივი დიპლომატიური კონტაქტები, მაშინ როცა ფორმალურად არ არის დიპლომატიური ურთიერთობა, დაამყარონ კონტაქტები ჟურნალისტებს, მეცნიერებს შორის და რამდენადმე გააფართოვონ ვაჭრობა.

როგორც ჟურნალი „ტაიმი" აღნიშნავს, მოლაპარაკებისას განიხილეს არა მარტო ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობა, არამედ აზიაში შექმნილი მდგომარეობაც და სხვა საერთაშორისო პრობლემები. „თუ წინათ ჩინეთი გადაჭრით მოითხოვდა, რომ ამერიკელები წასულიყვნენ აზიიდან, — ხაზგასმით აღნიშნავს ამერიკის რადიო-სატელევიზიო კომპანიის „ეი-ბი-სის" კომენტატორი, — ახლა ჩინეთში სურთ, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები ამ რაიონში გარკვეულ როლს ასრულებდნენ".

ამასთან დაკავშირებით საზღვარგარეთის პროგრესულ პრესაში ახლა გამოთქვამენ შიშს, რომ მაოისტური ხელმძღვანელობა აშკარად ღალატობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს. ყოველკვირეული „ფრანს ნუველი" ყურადღებას აპყრობს იმას, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ჩინეთის მიმართ შეცვლა იწყო მხოლოდ იმ მომენტში, როცა ჩინეთის ლიდერთა პოლიტიკაში გამოვლინდა მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და მათ აიღეს რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობის გათიშვის კურსი". მაოისტებმა პირი შეკრეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან მთელ რიგ საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ერთად გაილაშქრეს ბანგლადეშის ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ, უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის მსოფლიო ასამბლეაში, ახლა კი თავს გვაჩვენებენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ ამერიკის ცის მეკობრეთა იმ მასირებულ თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, სამხრეთ ვიეტნამზე, ლაოსსა და კამბოჯაზე, რომლებმაც განსაკუთრებით გააფთრებული ხასიათი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პეკინში ვიზიტის დროს. (საქდესი).

რ. ნიქსონის ვიზიტი გრძელდება

პეკინი, 25 თებერვალი. (საქდესი). დღეს გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენლაის მორიგი შეხვედრა. საღამოს რ. ნიქსონმა ბანკეტი გამართა ჩინეთის ხელმძღვანელობის პატივსაცემად.

პეკინი, 26 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომელსაც ახლავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენლაი, დღეს ჩავიდა ჩეძიანის პროვინციის საკურორტო ქალაქ ხანჭოუში.

ხანჭოუდან მიღებული ცნობებით, თეთრი სახლის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში ზიგლერმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ რ. ნიქსონმა და ჯოუ ენლაიმ მიაღწიეს „პრინციპულ შეთანხმებას" მთელ რიგ განხილულ საკითხებში. მან აღნიშნა, რომ საბოლოო დოკუმენტი, ალბათ გამოქვეყნდება კვირას, ნაშუადღევს.

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის დღევანდელმა გაზეთებმა პეკინიდან მიღებულ ცნობებში რამდენადმე შეცვალეს ტონი და უკვე აღნიშნავენ „სიძნელეებსა" და „უთანხმოებას", რომლებმაც თავი იჩინეს ამერიკა-ჩინეთის მოლაპარაკების დროს. ამასთან გაზეთები იმოწმებენ ჯოუ ენ-ლაის სიტყვას პეკინში გუშინ გამართულ ბანკეტზე, სადაც მან აღნიშნა, რომ უთანხმოებანი არსებობს. მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რომ „პრეზიდენტმა და პრემიერმა ხუთი დღის მანძილზე, როცა სხდომები დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა, აღნიშნეს, რომ აქვთ უთანხმოებანი".

როგორც „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" წერს, „არ გამართლდა ვარაუდი, რომ მოლაპარაკების დროს მიღწეული პროგრესის შესახებ გამოაცხადებენ პარასკევს გამართულ ბანკეტზე". გაზეთი აღნიშნავს, რომ „ბანკეტზე ატმოსფერო უფრო ცივი იყო, ვიდრე წინა შეხვედრებზე".

კარგად ინფორმირებული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" პეკინიდან მიღებულ მორიგ კორესპონდენციაში აგრეთვე აღნიშნავს მოლაპარაკების დროს შექმნილ სიძნელეებს და ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვინაიდან „ორივე მხარე მოლაპარაკებას უკავშირებს საკუთარ პრესტიჟს, შესაძლოა დისკუსიებს საბოლოო ანგარიშით მოჰყვეს რაიმე შედეგები".

ფაქტები

● **ბუდაპეშტი,** ნავთობისა და გაზის შადრევანმა ამოხეთქა 2.617 მეტრი სიღრმის ჭაბურღილიდან, რომელიც უნგრელმა მენავთობეებმა სეგედში გაბურღეს.

● **დაკარი,** როგორც სენეგალის სტატისტიკურმა სამმართველომ გამოაცხადა, ამჟამად სენეგალში ცხოვრობს 3 მილიონ 900 ათასი კაცი.

მსოფლიო დღეს

ჩვენმა მკითხველებმა იციან იმ საშინელი ტრაგედიის შესახებ, რომელიც დღევანდელი ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის (ყოფილი აღმოსავლეთ პაკისტანი) ტერიტორიაზე დატრიალდა გასულ წელს. დასავლეთ პაკისტანის ხელისუფალნი შეეცადნენ ცეცხლითა და მახვილით ჩაეხშოთ ბენგალელი ხალხის ნება, რომელიც მან საყოველთაო არჩევნების დროს გამოაცხადა.

იაჰია ხანის სამხედრო რეჟიმის პოლიტიკამ, რომელსაც მხარს უჭერდნენ აშშ და ჩინეთი, გამოიწვია ასეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანის დარბევა. ლტოლვილთა რიცხვმა 10 მილიონს გადააჭარბა. ტერორს და რეპრესიებს მოჰყვა პაკისტანის ხელისუფალთა მიერ პროვოცირებული ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი, რომელიც აგრესორთა კრახითა და ახალი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნით დამთავრდა.

რასაკვირველია, ამ სტრიქონების ავტორი ვერ იწინასწარმეტყველებდა ამგვარ ფინალს, მაგრამ მისი სტატია ინტერესს იწვევს უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მასში ობიექტურად არის აღწერილი ის საშინელებანი, რასაც დასავლეთპაკისტანელები ბენგალიაში სჩადიოდნენ.

პაკისტანის გაზეთ „ქარაჩი მორნინგ ნიუსისა" და ლონდონის „სანდი ტაიმსის" კორესპონდენტი ენტონი მასკარენჰასი ხელისუფლებმა იმიტომ გაგზავნეს ბენგალიაში, რომ დაეწერა „ნორმალიზაციის" შესახებ. მაგრამ ჟურნალისტმა დაწერა ის, რასაც ნახა, და გამოიტანა ისეთი დასკვნები, რომ იძულებული გახდა ოჯახთან ერთად მიეტოვებინა სამშობლო.

ვაქვეყნებთ ე. მასკარენჰასის სტატიას შემოკლებით.

დიდი ქარიშხალი უქაროდ

Აბდულა ბარის, 24 წლის დაკლ მკერავს ბედმა არ გაუღიმა. მილიონობით ბენგალელ თანამემამულეთა მსგავსად მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა პაკისტანის არმიის პატრულის დანახვისას გაქცევა დააპირა.

ახლა იგი იდგა ჯარისკაცებით გარშემორტყმული და კანკალებდა, იცოდა, რომ დახვრეტდნენ.

— აქვე მოვკლავდით, როგორც კი გაიქცა, — ამიხსნა მაიორმა რატორმა მე-9 დივიზიიდან, — თქვენთვის შემოვინახეთ იგი. თქვენ, ხომ ახალბედა ხართ აქ და ეს თქვენზე შთაბეჭდილებას მოახდენს.

— რა საჭიროა მისი მოკვლა?

— ეჭვი გვაქვს, რომ იგი ან ინდოელია ან სეპარატისტი, იციან, რომ მათზე ვნადირობთ და ამიტომაც გარბიან, გაქცევით კი თავს ამხილებენ.

— ინდოელებს რაღაზე ხოცავთ?

— ნუთუ უნდა მოვაგონოთ, რომ ინდოელებს პაკისტანის მოსპობა უნდოდათ? — მკაცრად მკითხა რატორმა, — ახლა, როდესაც ბრძოლები მიმდინარეობს, ჩვენ შეგვიძლია შემთხვევით მოვიცილოთ ისინი თავიდან. მაგრამ თავისთავად ჩვენ მხოლოდ მამაკაცებს ვსპობთ.

მოვლენების ისტორია ამგვარია, 25 მარტს ღამით ბენგალელთა გასამხედროებულმა ნაწილებმა სცადეს მოეწყოთ შეიარაღებული გამოსვლა, იყო მსხვერპლი. მე უფლება მომცეს ამის შესახებ მომეთხრო, რადგან პაკისტანის მთავრობას სურდა გაემხილა ეს ფაქტები. მაგრამ საიდუმლოებით იყო მოცული მთავარი: უკვე მეორე დღეს, 26 მარტს, იაჰია ხანის სამხედრო მთავრობამ ჯარი გაგზავნა „საკითხის საბოლოოდ მოგვარებისათვის".

სწორედ ამ „საკითხის მოგვარებით" არის დაკავებული ახლა დასავლეთ პაკისტანის არმია ბენგალიაში. დარბევის მსხვერპლნი გახდნენ არა მარტო ინდუისტები, რომლებიც აღმოსავლეთ ბენგალიის 75 მილიონიანი მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენენ. ათასობით მუსლიმანები, სტუდენტები, პროფესორები, პოლიტიკური მოღვაწეები მოკლულ იქნენ. იგივე ბედი ეწიათ სამხედროებსა და პოლიციელებს, რომლებიც შეეცადნენ გამოეცხადებინათ ბანგლადეშის რესპუბლიკა. საერთო ანგარიშით დაიღუპა 250 ათასი კაცი, კიდევ რამდენი იმსხვერპლა შიმშილმა და ეპიდემიებმა, არავინ იცის. (უკანასკნელი მონაცემებით დასავლეთპაკისტანელთა ტერორის შედეგად 3 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა — რედ).

აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიაზე, მე-9 დივიზიის ოფიცერთან ექვსი დღის ყოფნის განმავლობაში შევძელი საკუთარი თვალით შემეფასებინა დატრიალებული ხოცვა-ჟლეტის მასშტაბები. მე ვხედავდი, თუ როგორ ერეკებოდნენ ინდუისტებს საკუთარი სოფლებიდან. აშიშვლებდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი მუსლიმანების მსგავსად არ არიან წინადაცვეთილნი, ხვრეტდნენ. მე ვისმენდი იმათ ყვირილს, ვისაც სიკვდილამდე სცემდნენ ხელკეტებით კომილეს პოლიციის უბანში. მე ვხედავდი, თუ როგორ მიდიოდნენ ღამის საფარველქვეშ გვამებით ძარაამოვსებული სატვირთო ავტომანქანები. საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი, როდესაც ვისმენდი ოფიცერთა ტრაბახს იმაზე, თუ რამდენი მოკლული დაუგროვდა თვითეულ მათგანს.

და ყველაფერი ეს ხდებოდა, როგორც ამას ყოველი ოფიცერი გეტყოდათ, „პაკისტანის ერთიანობის შენარჩუნების, მთლიანობისა და იდეოლოგიური შეკავშირების" სახელით. სინამდვილეში კი ამ სამხედრო აქციამ, ჩაფიქრებულმა ქვეყნის ორივე ტერიტორიის დაახლოების მიზნით, მხოლოდ გააღრმავა იდეოლოგიური ნაპრალი.

სამხედრო რეპრესიები ორ ფაზად მიმდინარეობს. პირველს „წმენდა" ეწოდება. ეს სიტყვა ხოცვა-ჟლეტის აღმნიშვნელია. მეორეა — „წესრიგის [illegible] აგენტი", ემსახურება ერთ მიზანს — გაითამაშონ კომედია მსოფლიოს წინაშე. აქ, ადგილზე, პროპაგანდისტული შრეებისაგან გაწმენდილი, ისინი აღნიშნავენ ტრაგედიას, მოსპობას და კოლონიზაციას.

გარდა ამისა საჭირო გახდა ბენგალიაში მცხოვრები ინდუისტებისადმი გენოციდის გამართლება. „ინდუისტებმა თავიანთი აგენტურის დახმარებით გახრწნეს მუსლიმანური მასები, — მითხრა პოლკოვნიკმა ნაიმმა მე-9 დივიზიის სასადილოში კომილეში, — ისინი ბირწმინდად ძარცვავდნენ პროვინციას და ყველაფერი საზღვარს იქით ინდოეთში გადაჰქონდათ. ისინი შეადგენდნენ მასწავლებელთა საერთო რიცხვის თითქმის ნახევარს, მაგრამ თავიანთ საკუთარ შვილებს კალკუტის სკოლებში გზავნიდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბენგალიური კულტურა ინდურ კულტურად გარდაიქმნა, საქმოსნები კალკუტიდან კი უმოწყალოდ უწევდნენ ექსპლოატაციას აღმოსავლეთ პაკისტანს! მიწა უნდა გაიწმინდოს და ხალხს უნდა მიეცეს იგი, ხალხს კი დავუბრუნოთ რწმენა".

მაიორი ბაშირი, რომელიც ტრაბახობდა, პირადად ოცდარვა კაცი მოვკალიო, მწვანე ჩაის წრუპავდა და მიხსნიდა, თუ როგორ ესმის მას სიტუაცია:

— მიმდინარეობს ომი მართლმორწმუნეთა და განდგომილთა შორის. აქაურ ხალხს, უმეტესობას მუსლიმანური სახელები აქვთ და ისინი თავს მუსლიმანებად თვლიან. მაგრამ გულის სიღრმეში ინდუსებად რჩებიან. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ აქ ადგილობრივმა მოლამ მეჩეთში ლოცვისას განაცხადა, რომ მართლმორწმუნენი სამოთხეში მოხვდებიან, დასავლეთპაკისტანელებს თუ მოკლავენ. ჩვენ მოვსპეთ ეს არამზადა, ვინც გადარჩება, ნამდვილი მუსლიმანები იქნებიან. ჩვენ ვასწავლით მათ ურდუს ენაზე ლაპარაკს!

ამგვარი ცრურწმენები, რომლებიც საკუთარ წარმოდგენას ეყრდნობა, მოჰყავდა ყველა ჯარისკაცსა და ოფიცერს.

გენოციდი ტარდება წარმოუდგენელი ცინიზმით. მაიორ აღის, კომი- [illegible] სიას და ფანჯრით ოთხი კაცის გვარი აღნიშნა.

— ესენი აქ მოიყვანეთ და საღამოსათვის მოსპეთ, — შემდეგ კიდევ გადახედა სიას, — ამათ ეს ბაცაცაც მიუმატეთ.

სიკვდილის განაჩენი გამოტანილ იქნა ჭიქა ქოქოსის რძის სმის დროს. მე გამოვარკვიე, რომ განწირულთაგან ორნი ინდუისტები იყვნენ, მესამე — „სტუდენტი", ხოლო მეოთხე — სახალხო ლიგის აქტივისტი. რაც შეეხება „ბაცაცას", იგი აღმოჩნდა ყმაწვილი, სახელად სებასტიანი. იგი იმ დროს დააკავეს, როცა სახლში მიჰქონდა ამხანაგი ინდოელის ნივთები.

უბანში ხუთივენი ზურგზე ხელებშეკრულნი მოიყვანეს. ზუსტად საღამოს ექვს საათზე, როდესაც კომენდანტის საათი დადგა, ხის ხელკეტების ყრუ დარტყმები გაისმა დაპატიმრებულთა თავებზე...

Აღმოსავლეთ ბენგალიის აგონია ჯერ არ დამთავრებულა და კიდევ ალბათ ბევრი რამ მოხდება. არმია აღსავსეა სურვილით ბოლომდე მიიყვანოს დასახული მიზანი. ორი დივიზია — მე-9 და მე-12 თვითმფრინავებით გადმოისროლეს დასავლეთ პაკისტანიდან, რათა გაეძლიერებინათ მე-14 დივიზია, რომელიც ბენგალიაში იყო დისლოცირებული.

20 აპრილს პოლკოვნიკმა ნაიმმა მითხრა, ტერიტორიის გაწმენდას ორი თვე დასჭირდებაო. მაგრამ მისი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. წინააღმდეგობის ძალები პარტიზანული ტაქტიკის გამოყენებით მოხერხებულად იცდენდნენ პირდაპირ ბრძოლებს, ხოლო დაწყებულმა მუსონმა სამი თვით შეწყვიტა მსხვილი მასშტაბის ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა.

წვიმების დაწყებამდე პაკისტანის მთავრობამ ჩინეთისაგან მიიღო ცხრა მცირე წყალწყვის სამდინარო კანონერი. კიდევ რამდენიმეს უახლოეს ხანში მიიღებენ. ეს გემები — ძლიერად შეიარაღებულნი — შეასრულებენ იმავე სამუშაოს, რასაც მშრალ სეზონში აკეთებდა ავიაცია და არტილერია.

ქვეყანაში საშინელი შიმშილის ღრუბლები ჩამოწვა. სამანქანო გზები და რკინიგზა არ მუშაობს, სურსათი არ არის. ცენტრალური მთავრობა უარს ამბობს აღიაროს მოახლოებული შიმშილის საშიშროება. ამას მალავენ, რადგან შიმშილს მოჰყვება დახმარება საზღვარგარეთიდან, დახმარებას კი სურსათის განაწილებისადმი კონტროლი. ამ შემთხვევაში ყველასათვის ცხადი გახდება ხოცვა-ჟლეტის ნამდვილი სურათი. ამიტომ ხალხს „უფლებას" აძლევენ შიმშილით მოკვდეს, „წმენდის" ბოლომდე დამთავრებამდე.

ყარაჩში თავის კომფორტულ, კონდიციონირებულ კაბინეტში მჯდომმა სასოფლო-სამეურნეო განვითარების ბანკის პრეზიდენტმა, მისტერ კარნიმ მკვახედ მითხრა:

— შიმშილი — საბოტაჟის პირდაპირი შედეგია. დაე მოკვდნენ შიმშილით. იქნებ ამან ჭკუაზე მოიყვანოს ბენგალელები.

მე საშუალება მქონდა მომესმინა დასავლეთ პაკისტანის ხელმძღვანელთა დაპირებანი და მენახა მათი ნამდვილი საქმეები ბენგალიაში. დარწმუნებული ვარ, რომ მათი მიზანი მაინც ერთია — კოლონიად გადააქციონ აღმოსავლეთ პაკისტანი. პირველ ყოვლისა არმია იმით არის დაკავებული, რომ ამოძირკვოს ავტონომიური ტენდენციები აღმოსავლეთ პაკისტანში, სამხედრო ხელისუფალნი არაფრის წინაშე არ იხევენ უკან ამ მიზნის მისაღწევად.

ამგვარად სამხედროები ფაქტიურად აღმოჩნდნენ პაკისტანის ბედ-იღბლის გადამწყვეტნი. არმიამ მართლაც გაიღო მსხვერპლი — ბევრია მოკლული და დაჭრილი.

ამ სტადიაზე ოპერაციების გაგრძელების შეჩერება, სამხედროთა აზრით, უკვე შეუძლებელია. იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის ფინანსური საშუალებები არ იძლევიან ომის უსასრულოდ გაგრძელების შესაძლებლობას, სამხედროები დიდ იმედს ამყარებენ ჩინეთის დახმარებაზე, რომელიც მოდის ყარაყორუმის უღელტეხილით.

არმიის შტაბში, დაკაში შემდეგნაირად დამისახეს მთავრობის პოლიტიკის არსი: ბენგალელების ნდობა არ შეიძლება და ამიერიდან მათი მართვა-გამგეობა უნდა განხორციელდეს დასავლეთპაკისტანელთა მიერ; ბენგალელები უნდა აღიზარდონ ისლამისადმი მართლმორწმუნეობის სულისკვეთებით. „მასების ისლამიზაცია" ბოლოს მოუღებს სეპარატისტულ ტენდენციებს და მჭიდრო რელიგიურ კავშირს გამოჭედავს დასავლეთ პაკისტანთან; როდესაც ინდუისტებს ბოლო მოეღებათ, — ე. ი. მოსპობენ, ან გაიქცევიან, — მათი ქონება განაწილდება ერთგულ მუსლიმან ქვეშევრდომთა შორის, რომლებზედაც შემდგომში შესაძლებელი იქნება დაყრდნობა.

ეს პოლიტიკა ტარდება სასტიკი სიმკაცრით. არმიაში აღარ იღებენ ბენგალელებს, ავიაციისა და ფლოტის ბენგალური წარმოშობის ოფიცრები გადაიყვანეს მეორეხარისხოვან, მივდებულ ადგილებში.

ასობით დასავლეთპაკისტანელი მოხელე, ექიმი, რადიოტექნიკოსი და სხვები ბენგალიაში ჩამოიყვანეს. ზოგს დაჰპირდნენ სამსახურებრივ დაწინაურებას, ზოგს უბრძანეს. მე მითხრეს, რომ ამიერიდან ყველა ოლქის მერები და მათი მოადგილეები იქნებიან ბიჰარელები ან დასავლეთიდან გამოსულნი.

მაგრამ კოლონიზაციის პროცესი ისეთი ტემპით როდი მიმდინარეობს, სამხედროებს რომ უნდათ, მაიორმა აღიმ — სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ — ეს კარგად იცის. იგი ამბობს:

— მათგან ძნელია მოელოდე მუშაობას, ვიდრე ვკლავთ და ვანადგურებთ მათს ქვეყანას. ჩვენ იძულებული ვართ მოვითმინოთ ნამოქმედარის შედეგები.

კაპიტანი დურანი, კომილეს აეროპორტის დაცვის ოცეულის მეთაური, საკუთარ მეთოდს იყენებს.

— მე გავაფრთხილე ისინი, რომ ყველას დავხვრეტ, რომელზეც ეჭვს მივიტან, ან ეჭვი დამებადება, რომ საბოტაჟს აწყობს.

და ეს ლიტონი სიტყვები როდია. ერთი ბენგალელი, რომელიც ღამით აეროპორტის რაიონში აღმოჩნდა, ადგილზევე დახვრიტეს. „იგი შეიძლება მეამბოხე ყოფილიყო" — ამიხსნეს მე.

კაპიტან დურანს პირად ანგარიშზე სამოცზე მეტი მოკლული ჰყავს. ეს მან დაუზარებლად გააკეთა ახლომდებარე სოფლების „გაწმენდისას"...

ეს ორი ფოტოსურათი ნათლად გადმოგვცემს აღმოსავლეთ პაკისტანის მცხოვრებთა ყოფას.

კინოხელოვნების დიდი ფორუმი თბილისში

სტუმრად კოლეგებთან

გულთბილად უმასპინძლეს თავიანთ კოლეგებს მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის" მუშაკებმა. სტუდიას ეწვივნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მუშაკთა დელეგაცია ბულგარეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, ჟურნალ „კინოისკუსტვოს" მთავარი რედაქტორის ემილ პეტროვის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ეროვნული კინოინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ერვინ კარაის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფიის სამმართველოს უფროსის გერდ შპრინგფელდის მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — რეჟისორ ფელიქს შრედნიცკის მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — რუმინეთის კინემატოგრაფიის კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ფრანჩისკ მუნტიანუს მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — სლოვაკიის ფილმის გენერალური დირექტორის იან პოდრაცკის მეთაურობით, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა — სერბიის კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ზდრავკო ველიმიროვიჩის მეთაურობით.

სტუმრებს უჩვენეს ქართველ რეჟისორთა უკანასკნელი ნამუშევრები — თ. აბულაძის მხატვრული ფილმი „ყელსაბამი ჩემი სატრფოსათვის" და გ. წულაიას „რერო" იღებს სტუმრებს". ამ სურათების ნახვის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს კინოსტუდიის საწარმოო ნაგებობანი, დაესწრნენ რ. ჩხეიძის ახალი ფილმის „ნერგების" გადაღებას. (საქდესი).



ლაურა ვართანიანი (ფილმი „ხათაბალა". „არმენფილმი").



აიტურგან ტამიროვა (ფილმი „ისიკ-კულის წითელი ყაყაჩოები". „ყირგიზფილმი").

მხატვარი თ. ბაშელეიშვილი.

დღეს

რუსთაველის სახელობის კინოთეატრში — საკონკურსო მხატვრული ფილმების ჩვენება

10.00 — „მხიარული კარუსელი" (მულტფილმების საკავშირო სტუდია), „პიონერის ვიოლინო" (მულტფილმების საკავშირო სტუდია), „ო, ეს ნასტია" (მ. გორკის სახელობის კინოსტუდია).

12.00 — „მელიას სიმსუნაგე" („აზერბაიჯანფილმი"), „უკანასკნელი მარცხი" („აზერბაიჯანფილმი").

16.00 — „სიტყვა პურზე" (მულტფილმების საკავშირო სტუდია), „სიმღერები ცეცხლოვან წლებზე" (მულტფილმების საკავშირო სტუდია), „12 სკამი" („მოსფილმი").

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზი — საკონკურსო დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების და კინოპერიოდიკის ჩვენება

10.00 — „მინდა ყველაფერი ვიცოდე", „უანგარო სიყვარულის ბილიკებით", „ვარსკვლავი" (ცენტრალური სამეცნიერო ფილმების სტუდია).

კინოთეატრ „ამირანში" — კონკურსგარეშე ფილმების ჩვენება

10.00 — „პირველი კლასის პილოტი" (მოსფილმი).

გაზეთი და მკითხველი

თვენახევრის დაგვიანებით

წერილი კომენტარით

„პატივცემულო რედაქცია!

გარდაბნის ელექტროქსელების კანტორაში გამოწერილი გვაქვს გაზეთები „კომუნისტი", „იზვესტია" და „ტრუდი". ჯერჯერობით არცერთი არ მიგვიღია. რამდენჯერმე მივაკითხეთ გარდაბნის „სოიუზპეჩატის" განყოფილებას, მაგრამ არაფერი ზომები არ მიიღეს.

გთხოვთ დაგვეხმაროთ.

ასეთი წერილი მიიღო ამ დღეებში რედაქციამ. წერილს ხელს აწერენ ზემოთ დასახელებული ორგანიზაციის თანამშრომლები, მათ შორის მისი უფროსი ს. პატატიშვილი.

რა გამოირკვა აღნიშნული საჩივრის ადგილზე შესწავლით? დავიწყოთ თავიდან.

„საქმთავარენერგოს" სამმართველომ, რომელმაც ზემოთ დასახელებული გაზეთები თბილისში გამოუწერა თავისადმი დაქვემდებარებულ გარდაბნის ელექტროქსელის კანტორას, ზუსტად არ მიუთითა ამ უკანასკნელის მისამართი. გარდაბნის „სოიუზპეჩატის" განყოფილებაში კი კარგად არ გაერკვნენ თბილისიდან მიღებული აბონემენტების (№ 50130, 50050, 66443) არსში და არასწორად გაუგზავნეს ისინი გარდაბნის № 1 საფოსტო განყოფილებას (უფროსი ნ. რიაბჩენკო). ეს უკანასკნელი ხელისმომწერთა მოძებნის მიზნით ვალდებული იყო ქვითრები უკანვე დაებრუნებინა „სოიუზპეჩატისათვის", მაგრამ მანამდე არ გააკეთა, სანამ ოფიციალურად არ ჩაერივნენ ამ საქმეში.

ბოლოს მოხდა კიდევ ერთი კურიოზი. გარდაბნის № 1 საფოსტო განყოფილებამ 3 თებერვალს დახვეული წერილით გაუგზავნა აღნიშნული ქვითრები „სოიუზპეჩატს". „სოიუზპეჩატმა" კი ისინი 16 თებერვალს მიიღო. რატომ ასე დაგვიანებით?

გარდაბნის № 1 საფოსტო განყოფილებიდან ცენტრალურ ფოსტაში, სადაც იმყოფება თვით „სოიუზპეჩატის" განყოფილება, წერილი 5 იანვარს მიიღეს, ამ დღიდან ფოსტის დამტარებლებს 11 დღე დასჭირდათ, რომ იქვე, მეზობელ „სოიუზპეჩატის" განყოფილების ოთახში გადაეცათ.

16 თებერვალს საქმე თითქოსდა მოგვარდა, ხელისმომწერლებმა ერთდროულად მიიღეს თვენახევრის გაზეთები.

ეს ფაქტი შეიძლებოდა დღის სინათლეზე არ გამოგვეტანა, რომ იგი ერთეული შემთხვევა იყოს. სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში მოდის სიგნალები, რომლებთა ავტორები სამართლიანად მოითხოვენ ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს წესრიგი ჟურნალ-გაზეთების დანიშნულებისამებრ და დროულად ჩაბარების საქმეში. ეს კრიტიკა უპირველესყოვლისა კავშირგაბმულობისა და „სოიუზპეჩატის" ადგილობრივ განყოფილებებს ეხებათ.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მიზეზ-მიზეზ...

ვცხოვრობ თბილისში საბურთალოს ქუჩაზე № 57-ა სახლში, რომელსაც 77-ე საფოსტო განყოფილება ემსახურება. გამოწერილი მაქვს გაზეთები „კომუნისტი" და „თბილისი".

ჩვენს სახლზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია მისამართების მაჩვენებელი დაფა. აქვეა მობინადრეთა საბონენტო ყუთები. ადრესატის მიგნების სირთულე თითქოს მოხსნილია.

მაგრამ მაინც არ იქნა და არა. შარშან და წელსაც ფოსტალიონ ბ. ნოვრუზოვას გამოწერილი გაზეთები ყოველდღიურად არ მოუტანია,

შარშან მიზეზი მიპოვნეს — თქვენს სადარბაზო შესასვლელში ხატიაშვილები ორი ოჯახი ხართ, გვერდით ერთმანეთში და გაზეთები შორს ხომ არ მიგვაქვს, რა მოხდა, მეზობელს ვაწვდითო. და ასე ექვსი თვე ფუჭ მოლოდინში გავატარე.

1972 წლისათვის კვლავ გამოვიწერე გაზეთები. ვეებ ახლა მაინც ეშველოს საქმეს-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ! ისევ ძველებური ამბავი დატრიალდა... ქვითარი შევსებულია სწორად, დატარების წიგნში გარკვევით არის აღნიშნული ჩემ მიერ გამოწერილი გაზეთები და მისამართიც. მაგრამ იანვარში მხოლოდ რამდენიმე ნომერი მივიღე.

როცა საყვედურით ფოსტალიონს მივმართე, მან აგდებულად მიპასუხა: ყუთს საკეტი გაუკეთეო. თითო მიზეზი მას არ აკლდება და მე თითქმის სისტემატურად ვრჩები უგაზეთოდ.

ი. ხატიაშვილი.

მარტო ქვითარი?!

წელს გაზეთები „კომუნისტი", „თბილისი" და „სოფლის ცხოვრება" ქუთაისის კავშირგაბმულობის ერთ-ერთ განყოფილებაში გამოვიწერე. სამივე ქვითარზე გარკვევით წერია ჩემი მისამართი: თბილისი, ორჯონიკიძის ქუჩა № 62.

აი თებერვალიც დადგა. გავიდა დღეები, და გაზეთის ვერც ერთი ნომერი ვერ მივიღე. გულისტკივილით მივედი კავშირგაბმულობის მეთორმეტე განყოფილებაში, მივიტანე ქვითრები, მაგრამ ამაოდ. იქიდან სოიუზპეჩატის რესპუბლიკურ სამმართველოში გამგზავნეს, იქიდან კიდევ სხვაგან.

ასე გადის დღეები. რა ჰქვია ასეთ მუშაობას? მე გაზეთი მინდა და არა ქვითარი.

ც. ლამბაშიძე.

საქართველოს გარეთ

რატომ არ ვიღებ?

პატივცემულო რედაქცია!

მოგმართავთ თხოვნით. იმედი მაქვს ჩემს საჩივარს არ დატოვებთ უყურადღებოდ.

შარშან 5 ოქტომბერს გამოვიწერე ქართული რესპუბლიკური გაზეთი „კომუნისტი", შეკვეთა № 4.88120. მალე ორი თვე შესრულდება, და ჯერ არც ერთი ნომერი არ მიმიღია. მართალია, სხვა რესპუბლიკაში ვცხოვრობ, მაგრამ გაზეთ „კომუნისტის" მუდმივი მკითხველი ვარ.

გთხოვთ შეამოწმოთ, რატომ არ მიგზავნიან გამოწერილ გაზეთს, ქვითარი და შეკვეთის ნომერი ხელთ მაქვს.

ი. სიდამონიძე,
ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, გარეუბნის რაიონი, სოფელი ჩერმენი, მშვიდობის პროსპექტი.

სად იკარგება

„ექვსი თვით გამოვიწერე გაზეთი „კომუნისტი". გამეხარდა, როცა ახალი წლის პირველი ნომრები მივიღე. მაგრამ შემდგომ გაზეთის სისტემატურად მოსვლა შეწყდა. თებერვალში რამდენიმე ნომერი არ მიმიღია. გთხოვთ დაგვეხმაროთ, — წერს რედაქციას სომხეთის სსრ ქ. არტიკში მცხოვრები მკითხველი ვ. ლალაიანი.

სიგნალის შესამოწმებლად მივაკითხეთ „სოიუზპეჩატისა" და საფოსტო კავშირის მუშაკებს. აღმოჩნდა, რომ გაზეთის მკითხველს — ვ. ლალაიანს იანვარსა და თებერვლის პირველ ნახევარში ყველა ნომერი გაეგზავნა („სოიუზპეჩატში" არსებობს ამის სათანადო ზედნადებები), ადრესატამდე კი ვერ მიაღწია.

კავშირგაბმულობის სამინისტროს საფოსტო კავშირის სამმართველოს უფროსს რ. შიმშილაშვილს ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინა ამ ფაქტისათვის.

მან თქვა: სომხეთის სს რესპუბლიკაში რამდენიმე ასეული მკითხველი იღებს გაზეთ „კომუნისტს". გაზეთები ყოველდღიურად იგზავნება ქ. ერევანში, საიდანაც ნაწილდება ხელისმომწერლებზე, რომლებიც ერევნის გარდა სხვა ქალაქებშიც ცხოვრობენ. თუ გზის რა უბანზე იკარგება გაზეთი და არ მიდის მკითხველამდე, ამჟამად ვერ გიპასუხებთ, მაგრამ ვეცდებით დავაზუსტოთ და მივაღწიოთ იმას, რომ ადრესატმა მიიღოს იგიო.

ვნახოთ.



სარედაქციო ფოსტიდან '72

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო

დღეს არავისთვის არ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ რა დიდი და ფასდაუდებელი საუნჯეა ქართველი ხალხისთვის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". ჩვენს საუკუნეში და განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა, რომ „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიო სარბიელზე გასულიყო და ახალ-ახალი მეგობრები შეეძინა მისი შემქმნელი ხალხისათვის.

ამჟამად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე. ჩვენი აზრით, დიდად საჭიროა შეიქმნას და გამოიცეს „ვეფხისტყაოსნის" სიტყვა-გამოთქმათა განმარტებითი ლექსიკონი, რომელსაც თან დაერთვება თარგმანი რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე.

ამგვარი განმარტებითი ლექსიკონი ორ ამოცანას შეასრულებს:

დაეხმარება ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას და სტუდენტობას, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის სრულყოფილად გაგებასა და ათვისებაში;

დიდ სამსახურს გაუწევს პოემის მთარგმნელებს უცხო ენებზე.

რუსთველოლოგიის თანამედროვე ეტაპზე ამგვარი განმარტებითი ლექსიკონის მომზადება და გამოცემა ჩვენ დაუძლეველ ამოცანად არ მიგვაჩნია. ამ მცირე შენიშვნის მიზანიც მხოლოდ ის არის, რომ ლიტერატურის ინსტიტუტმა თუ კომისიამ, ვისთვისაც ეს საქმე უფრო უპრიანია, დროულად გამოიჩინოს საჭირო თაოსნობა და გააკეთოს ის, რაც უცილებლად გასაკეთებელია.

ვახტანგ კუპრავა.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

რედაქციას უპასუხებს პარტიის ხაშურის რაიკომი

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო დარღვევები ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „ზემო ქართლში". იგი გადაეგზავნა პარტიის ხაშურის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს:

ამ წერილთან დაკავშირებით პარტიის ხაშურის რაიკომმა გამოჰყო კომისია, რომელმაც შეისწავლა მოყვანილი ფაქტების სისწორე, შემოწმების შედეგად დადასტურებულია, რომ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელი იყო პირუტყვის აღრიცხვა. საბუღალტრო მონაცემები და ფაქტიურად არსებული პირუტყვის საინვენტარო ნომერი არ ედრებოდა ერთმანეთს. კოლმეურნეობაში იყო ორი სასწორი, რომელიც არ შეესაბამებოდა ეტალონს, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საკუთარი სახლის მშენებლობაზე გამოიყენა ტრაქტორისტ-მემანქანეები.

კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა კრებამ განიხილა კომისიის ნარკვევი მასალები და მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირს, კომუნისტ **შ. მოსიაშვილს** გამოუცხადა საყვედური. **შ. მოსიაშვილსა** და ზოოტექნიკოს **თ. გაჩეჩილაძეს** გადასახდელად დაეწერა პირუტყვის ღირებულება — 231 მანეთი. კოლმეურნეობის საწყობის გამგე **ი. შერაზადაშვილი** განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. მაჭარაშვილი** გაფრთხილებულ იქნა, რათა მომავალში არ დაუშვას დარღვევები და დროულად მიიღოს ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ამბები სტრიქონებში

● **კვაისა.** დაბას კიდევ ერთი ახალი შენობა შეემატა — მდინარე ჭეჭორის მარცხენა ნაპირზე დამთავრდა სამსართულიანი კეთილმოწყობილი სასტუმროს მშენებლობა. ეს მეორე სასტუმროა კვაისაში.

ი. ჯიოევი.

● **ჩხოროწყუ.** რაიონულმა ჟიურიმ შეაჯამა სასოფლო საბჭოების შარშანდელი მუშაობის შედეგები. გამარჯვებულად ცნო მშრომელთა დეპუტატების ჩხოროწყუს სადაბო საბჭო.

ბ. გულუა.

● **მაიაკოვსკი.** დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის კლუბ-კანტორის ნათელი ფოიე დაამშვენა ფოტოსტენდმა „დიდება გმირებს".

შინმოუსვლელთა სტენდზე 75 ვაჟკაცის ფოტოსურათია. მათ შორის არიან მამა-შვილი სანდრო და იონა ბასილაძეები, ძმები ვანო და ალიოშა გოგსაძეები, იონა და ლევან ჭრელაშვილები, ჩაგუნა და შალვა გოგსაძეები.

ე. ჯიხვაძე.

● **ახალციხე.** სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კლუბში გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო ათეისტურ საკითხებზე.

შემოსულ კითხვებზე მშრომელებს პასუხი გასცეს რაიონის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ა. თათოშვილმა, ახალციხის სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებმა ბ. ინასარიძემ და ლ. გურგენიძემ.

პ. ალავიძე.

● **ტყიბული.** ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის საზოგადოებრივი კვების ქსელში სიახლეა — ცვლაში მომუშავე მუშებს ეძლევათ ცხელი ჩაი.

ლ. არსენიძე.



● **ქუთაისის** მინისტარის ქარხნის ბროლის საამქრო მრავალფეროვან პროდუქციას უშვებს. არსებობის 12 წლის განმავლობაში აქ 100 დასახელების სხვადასხვა ბროლის ნაწარმის გამოშვება აითვისეს. ისინი საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე დიდი მოწონებით სარგებლობენ. სურათზე ქვემოთ — ბროლის ქართველი ოსტატების ეს ნაკეთობანი კაიროში საერთაშორისო ბაზრობაზე გაიგზავნა.

ფოტო ბ. ბერსამიასი.

● **თბილისის** ქუჩებში (მარცხნივ).

● **ზამთრის** ეტიუდი. (ზემოთ).

ფოტო დ. კახურაშვილისა.

მკითხველები გვთავაზობენ

არ გავცვლი სალსა კლდეებსა...

გული სხვა სიმართლისა მელაპარაკებს

მე ისტორიკოსი არა ვარ, ქიმიკოსი ან გეოგრაფი, ეთნოგრაფი ან რომელიმე ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელი (ფიზიკოსი, მათემატიკოსი), რომ ფორმულებით ვილაპარაკო, გადაგიშალოთ ამა თუ იმ ხალხის, ერის ეთნოგენეზისის პრობლემა, მათი აღნაგობა-აგებულება, დანახული მკვლევარის თვალით. მე ენის სპეციალისტი გახლავართ და, როგორც ლინგვისტს შეეფერება, ჩვეულებრივ უნდა გესაუბროთ რომელიმე სიტყვის ეტიმოლოგიაზე, მის წარმომავლობაზე, გამოგიყოთ მასში პრეფიქსი ან სუფიქსი, ინფიქსი ან ფუძე თუ ძირი... მაგრამ ამჟამად უნდა გადავუხვიო ამ ტრადიციას და გესაუბროთ ერთ მტკივნეულ საკითხზე, ქართველ ებრაელობაზე.

მე არ ჩავებმები იმ დისკუსიაში, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს დასავლეთში იმის შესახებ, რომ ებრაელობა არის თუ არა ცალკე ერი. ამაზე იდავონ მათ, ვინც უკეთ იცის ეს საკითხი. ფაქტია, რომ ებრაელები საქართველოში ოდითგანვე ცხოვრობდნენ და მათ არასოდეს რბევა-შევიწროება-აწიოკება არ განუცდიათ. მათი სამშობლო საქართველოა. როგორც ყველა ქართველს, ისე პატიოსან ქართველ ებრაელს შეუძლია თამამად გაიმეოროს პოეტის სიტყვები:

„შენ ჩემთვის მზე ხარ ამომავალი,
სულის სინათლევ, გულის ნათელო,
არის ლამაზი მხარე მრავალი,
მაგრამ არ არის სხვა საქართველო".

ჩვენი დედაენა ქართულია. სხვა ენა ჩვენ არც გაგვაჩნია. ისე, როგორც ყველა ქართველისათვის, ჩვენთვისაც ძვირფასია რუსთაველისა და საბას, გურამიშვილისა და ბარათაშვილის, ორბელიანისა და ილიას, აკაკისა და ვაჟას ტკბილი ქართული, ის ენა, რომელზედაც დედა ნანას გვიმღეროდა, ის ენა, რომლითაც ჩვენს აზრებს, გრძნობებს და მისწრაფებებს ვუზიარებთ სხვებს; ხომ გაგიგონიათ: „სამშობლო — დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედაო"...

სპეციალისტები ახლა დაბეჯითებით წერენ, რომ ტექნიკის საშუალებით შესაძლებელი გახდება საუკუნეების წინათ გარდაცვლილი ადამიანების ხმათა აღდგენაო... და მაშინ მთელ კაცობრიობას, და მათ შორის ებრაელობასაც, შესაძლებლობა ექნება მოისმინოს კარლ მარქსის, ისააკ ნიუტონის, ჰაინრიხ ჰაინეს, სტეფან ცვაიგის, აინშტაინის, რუბინშტეინების, ფელიქს მენდელსონის, ბარუხ დე ბენედიქტე სპინოზას, ილია ერენბურგის, შალომ ალეიხემის, გერცელ ბააზოვისა და ებრაელების მიერ მსოფლიოსათვის მიცემულ სხვა გამოჩენილ პიროვნებათა ხმები, ხმები, რომლებიც უნერგავენ ადამიანებს სამშობლოსადმი ერთგულებას, იმ ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს, სადაც და ვისთანაც ცხოვრობენ. დღესაც ამაყად ჟღერს საუკუნის წინათ ი. გოგებაშვილის ნათქვამი სიტყვები: „საქართველოში ოდითგანვე ცხოვრობდნენ ებრაელები, მაგრამ ისინი შუასაუკუნეებშიც კი არ განიცდიდნენ დევნას ქართველების მხრივ, და ებრაელთა დარბევები, რაც ხშირად ხდებოდა და ახლაც ხდება ევროპაში, საქართველოში არასოდეს ყოფილა". (ი. გოგებაშვილი თხზ. ტ. 3 გვ. 366-367).

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება მოვიგონოთ ცნობილი ებრაელი მწერლის გერცელ ბააზოვის მამის — დავითის შესახებ ხალხში დარჩენილი გადმოცემა: იმპერიალისტური ომის წინ გერცელის მამა მოხვედრილა უცხოეთის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც მიმდინარეობდა სხდომა, ირჩეოდა ებრაელთა საკითხი. სხდომაზე სიტყვებით გამოსულან ევროპის, აზიისა და ამერიკის ებრაელთა დელეგატები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ებრაელებს ყველგან დასცინიან, სცემენ, აბუჩად იგდებენ, საჯაროდ როზგავენ... ქართველი ებრაელების სახელით სიტყვით გამოსულა გერცელის მამა დავითი, რომელსაც თავისი მისალმება ასე გადმოუცია: „მე ვერ დავიწყებ სიტყვას ისე, როგორც ჩემზე წინ გამოსულებმა ილაპარაკეს. მე ვარ საქართველოდან, იმ ქვეყნიდან, სადაც ებრაელებს არ სდევნიან"... დელეგატები ამ განცხადებას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ...

დიახ, ქართველ ებრაელებსაც უყვართ თავიანთი მშობლიური ენა, დედაენა, ქართული ენა, ისინიც გულში იმეორებენ პოეტის სიტყვებს:

„ერთი დღე ნუღარ ვიცოცხლებ,
შხამმა მომახრჩოს ართქმულმა,
თუ ქართულს ვეღარ მოვისმენ,
თუ ვერ ვიმღერებ ქართულად".

ჩვენ კიდევ მეტს ვიტყვით, უცხოეთში მყოფმა ქართველმა ებრაელებმაც კი, რომლებიც დიდი ხანია საქართველოდან წასულან, არ დაივიწყეს ქართული ენა, დღემდე შემოინახეს იგი ქართულ ადათ-ჩვევებთან ერთად. ისტორიიდან ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა ქართველი მეფეები დიპლომატიური მიზნებით იყენებდნენ ებრაელ ვაჭრებს და მათთან ღალატი და ორპირობა არავის ჩაუდენია... დიდი სამამულო ომის წლებში ქართველებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი ებრაელები, ბევრი მათგანი დაეცა გმირულად ბრძოლის ველზე, ქართველ მეომრებს ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი დაღუპვისაგან უხსნიათ ებრაელი ტყვეები, რომლებზეც ნადირობდნენ კაცეჭამია ფაშისტები...

სამამულო ომის პერიოდში დახვრიტეს და წამებით მოკლეს 6 მილიონზე მეტი ებრაელი. ებრაელთა დევნა, წამება, ჩამოხრჩობა მთელი სიმართლით არის ნაჩვენები კინოფილმში „მეცხრე წრე", რომელიც რამდენიმე წლის წინათ საქართველოშიც გადიოდა. სურათის ჩვენებისას დარბაზი ქვითინებდა, ქვითინებდნენ ქართველებიც, იცრემლებოდნენ სხვა ერის წარმომადგენლებიც...

ჩვენი მამული საქართველოა. ჩვენ აქ დავიბადეთ, აქ აგვეხილა თვალი, აქ ამოვიდგით ენა და ვისწავლეთ მტრისა და მოყვრის გარჩევა. ახლა, როცა ებრაელთა ნაწილმა, რასისტი სიონისტების ანკესზე წამოგებულმა, პირი იბრუნა ისრაელისაკენ, არ შეიძლება არ გაოცდე, ამ ფაქტს გულგრილად უყურო.

როგორც აკადემიკოსი მიტინი წერს, სიონისტებს მეტად მძლავრი პროპაგანდისტული აპარატი გააჩნიათ. მათ განკარგულებაშია ებრაელთათვის განკუთვნილი 850-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი, რომლებიც გამოდის იდიშის, ივრიტისა და სხვა ენებზე. ისრაელის რადიომაუწყებელი სადგური გადაცემას აწარმოებს მსოფლიოს ყველა ძირითად ენაზე.

სიონისტებს ავიწყდებათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ებრაელთა რამდენიმე თაობა გაიზარდა სოციალისტური წყობილების პირობებში და აღიზარდა კომუნისტური სულისკვეთებით. ასობით ათასი საბჭოთა ებრაელი სკკპ წევრია, საბჭოთა ებრაელების მესამედი კი კომკავშირელია. ყველა პატიოსან საბჭოთა ებრაელს სძულს სიონისტები და მათი ყალბი და ფარისევლური აგიტაცია.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი ებრაელების ნაწილს სიონისტურმა ანტისაბჭოთა პროპაგანდამ ისე დაუბრმავა თვალი, დაუბნელა გონება და დაუჩლუნგა აზროვნება, რომ კითხვაზე — რატომ მიდის, სად მიდის ან რა დახვდება იქ? — მან არ იცის, ვერაფერს უპასუხებს.

ამას წინათ სადგურ ცხაკაიაში ებრაელთა ისრაელში გაცილების სცენას წავაწყდი: იქ იმდენი ცრემლი დაიღვარა, წისქვილსაც კი აამუშავებდა; ტიროდნენ დიდებიც და პატარებიც, მოხუცნიც და ახალგაზრდებიც, ტიროდნენ და თმას იწეწავდნენ ისე, თითქოს ძვირფასი ვინმე მოჰკვდომოდეთ.

ზოგ წამსვლელ ებრაელს ჩუმად მიწაც კი მიჰქონდა, ქართული მიწა, ცხვირსახოცში გახვეული, ალბათ სიკვდილის შემდეგ გულზე დასაყრელად; მერე და ვინ აიძულა ისინი დაეტოვებინათ მშობლიური მხარე? არავინ. საბედისწერო ნაბიჯია ეს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ისრაელის სახელმწიფო ომის მდგომარეობაშია და საბჭოთა მოქალაქეების ე. წ. ისრაელში „დაბრუნება" სიონისტებს სჭირდებათ საზარბაზნე ხორცად. ქართველმა ებრაელმა ვაჟკაცებმა კიდევ სისხლი უნდა ღვარონ? — ვისთვის, სად, რა მიზნით, რატომ? აი კითხვები, რომლებზეც პასუხი ერთია: — არაფრისთვის. „სად წაიყვან სადაურსაო", გვასწავლის ბრძენი რუსთაველი. ქართველ ებრაელებს განა დაავიწყდათ ბაბი იარის, ოსვენციმისა და ბუხენვალდის ტრაგედია, ვარშავის გეტო და ლიდიცე? კიდევ ომი და სისხლისღვრა?!

არ გერჩიათ ჩვენთან ერთად გეცხოვრად ამ მშვენიერ მიწაზე, დამტკბარიყავით მცხეთის ჯვრითა და სვეტიცხოველით, ბაგრატის ტაძრითა და გელათით, იყალთოთი და ხიონით, ალავერდითა და ბახტრიონით, სად მოისმენთ გულში ჩამწვდომ ქართულ მელოდიებს „სოსლოსა" და „გაფრინდი შავო მერცხალოს", სად წაიკითხავ ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს, სად გაიგონებთ ბარათაშვილის მერნის ჭიხვინსა და ილიას ოთარაანთ ქვრივის პილპილმოყრილ მადლიან სიტყვებს, აკაკის გამზრდელის სულის სიღრმემდე ჩამწვდომ —

„სასიკვდილოდ მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ",

ვაჟას ხმლის წიფლის ოხვრას ან შვლის ნუკრის ნაამბობს, არსენას ლექსისა და ამირანის თავგადასავალს, ძველი თბილისის ყარაჩოღელთა სადღეგრძელოებსა და ფიროსმანაშვილის ტილოებს, ფალიაშვილის „დაისსა" და „ჯარისკაცის მამას"... ნუთუ თქვენ გაიგონებთ სხვაგან ასეთ სიტყვებს:

„იყავი ტურფა, იყავ უებრო,
მდიდარი, ბრძენი, მხნე და ჭკვიანი,
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!"

მართლაც, „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი — შიგ ჩასმული ბადახში".

ჩვენ მშვენივრად, მართლაც საამურად და ბედნიერად ვცხოვრობთ საქართველოში. აი ერთი მაგალითი: ჩვენი ოჯახი წინათ მუდამ გაჭირვებაში იყო. მახსოვს, მამას ხშირად პურის ფულიც არა ჰქონდა ხოლმე და სკოლისათვის წიგნებსაც ვერ მიძენდა. სკოლაში უჭმელი უნდა წავსულიყავით და რომ დავბრუნდებოდი გაკვეთილების შემდეგ, ზოგჯერ მაშინაც კი არ მხვდებოდა საჭმელი. ახლა, ახლა ასეთი სურათია: მამა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მაინც მსახურობს. ჩემს სამ ძმას საკუთარი ოჯახი, საკუთარი მსუბუქი მანქანები აქვთ; ჩემი ოჯახი სამი სულისაგან შედგება: მეუღლე მასწავლებელია, ქალიშვილი — III კურსის ფრიადოსანი სტუდენტი გახლავთ მუსიკალურ სასწავლებელში, მე კი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვარ, არათუ პირადად ჩემი ოჯახი, არამედ ჩემი არც ერთი ნათესავი, პირს არ იზამს თელ-ავივის „სამოთხისაკენ", რადგან

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი
კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, —
ჩემი სამშობლო ის არი".

აქ, საქართველოში, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძაში განისვენებენ ჩემი ბებია და ბაბუა, მათი წინაპრები და წინაპართა წინაპრები. მათ ძვლებს ქართული მიწა ინახავს და ჩვენც აქ უნდა დავიმარხოთ... რა გვინდა იერუსალიმში, ჩვენ მათი არ გვესმის, მათ — ჩვენი. მათი ენა არ ვიცით და ზნე-ჩვეულება, მათს „წალკოტში" ჩვენი ვარდი ვერ იხარებს, ჩვენ არ გვინდა ჩავვარდეთ იმ უნუგეშო მდგომარეობაში, რომელშიც აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირიდან ისრაელში გადასახლებული ებრაელები, რომლებიც ვერ შეეგუენ იქ არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ პირობებს, ჰავას, წყალს, ვერ სწავლობენ მათს ენას და ითხოვენ საბჭოთა კავშირში დაბრუნებას. ასეთი ვენაში ამჟამად 1.500-ზე მეტი კაცია. ისრაელის სახელმწიფოდან, 20 წლის მანძილზე, გაიქცა 250 ათასი კაცი. მათ უბედურებაში ბრალი მიუძღვით სიონისტებს — ადამიანთა სულებზე საზიზღარ მონადირეებს, რომლებიც „დიდ ისრაელზე" გიჟური ოცნებითა და უღირსი პოლიტიკური თამაშით წვრილ-წვრილად ახურდავებენ მათ მიერ მოტყუებული ასობით და ათასობით ადამიანის ბედს, ადამიანებისას, რომელთაგან, როგორც იერუსალიმიდან გამოგზავნილი წერილებიდან ჩანს, ბევრი ისრაელში თავს იხრჩობს, ბევრიც სარსკაპოებში სხეულს ჰყიდის ლუკმაპურისათვის, ბევრიც — მათხოვრობს და კიდევ უფრო მეტი ხელზე მოსამსახურედ უდგება მდიდრებს.

ისრაელში მტკივან კბილს ისე არ ამოგაძრობენ, თუ ფული არ გადაიხადე, სკოლებში ქაოსია, არავითარი დისციპლინა; ისრაელი ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, სადაც ქალიშვილებიც სამხედრო სამსახურს გადიან. 18 წლიდან გოგონები მიჰყავთ ჯარში, სადაც ისინი 20 თვეს მსახურობენ. უშვილო ქალები 34 წლამდე რეზერვში ირიცხებიან. ისრაელში ჯარისკაცი ყველაზე დაბალ ხელფასს იღებს მსოფლიოში — 7-10 დოლარს თვეში; აქ ყოველ საათში სამხედრო საქმეზე იხარჯება 100.000 დოლარი, მსოფლიოში ყველაზე მეტი.

მე მინდა ყველას გასაგონად ვთქვა: ნუ უჯერებთ სიონისტებს, რომლებიც თიშავენ ხალხებს, აღვივებენ ნაციონალიზმს, აძლიერებენ რელიგიურ მტრობას, პირწავარდნილ ფაშისტებს, ომის გამჩაღებლებს, პათოლოგიურ ანტიკომუნისტებს, ულტრარასისტებსა და შოვინისტებს, რომლებიც ჯიუტად ეთამაშებიან ცეცხლს, კატასტროფის გზაზე აყენებენ ებრაელებს. საბჭოთა ქვეყნის ებრაელებს მათ მიერ დაცვა არ სჭირდებათ.

ვ. ი. ლენინი წერდა: „სირცხვილი მათ, ვინც ავრცელებს ებრაელებისადმი მტრობას, ვინც ავრცელებს სიძულვილს სხვა ერებისადმი". (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29, გვ. 288).

საქართველო ჩვენი დედაა და დედის მიტოვებასა და დედინაცვალთან შეკედლებას არავის ვურჩევ, რადგან მათ აკაკის „ღამურას" ბედი მოელით:

„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!
ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
ჩემსავით ცრემლთა დენასა!"

შეიძლება დაბეჯითებით ვუწინასწარმეტყველო მათ ვინც სხვების ფეხის ხმას ბრმად მიჰყვება, რომ სიკვდილამდე სანანებლად გაუხდებათ ეს დაუფიქრებელი ნაბიჯი და ბოლოს მაინც იტყვიან, მაგრამ გვიანი იქნება:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო,
ჩემო წამხდარო მხარეო!"

რაფიელ ჟამელაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ფოლკლორული ექსპედიცია პირაქეთა ხევსურეთში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ფოლკლორისტიკის კათედრამ წელს, იანვარში, ფოლკლორული ექსპედიცია მოაწყო პირაქეთა ხევსურეთში. ექსპედიცია ქართული მეცნიერული ფოლკლორისტიკის ფუძემდებლის ვახტანგ კოტეტიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ეს იყო ზამთრის მეოთხე ექსპედიცია.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მეცნიერმა მუშაკებმა წელს ხევსურეთის ოთხ სოფელში იმუშავეს. საინტერესო მასალებია მოპოვებული სოფლებში ჩხუბაში, გუდანში, ბისოსა და ხახმატში. ექსპედიციის წევრებმა მაგნიტოფირზე ჩაიწერეს ქართული მითოსის საყურადღებო ნიმუშები. ხევსურული პოეზიის საუკეთესო ძეგლებს გვაცნობდნენ ხევსურეთის მკვიდრნი — ხთისო, ძილა და მინდია არაბულები (სოფელი ჩხუბა), გიდუა, თოთელი, გიორგი და მზექალი ჭინჭარაულები (სოფელი გუდანი), გიორგი ალუდაური (სოფელი ხახმატი).

სამეცნიერო ფოლკლორული ექსპედიციის მუშაობას ყოველმხრივ შეუწყეს ხელი ბარისახოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ აბა ლიქოკელმა, გუდანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ტარიელ არაბულმა, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორმა გიორგი ნარიმანიძემ, პედაგოგებმა ალუდა, მიხეილ და ივანე არაბულებმა.

გ. ჯაფარიძე.

ფელეტონის მაგიერ

უბის წიგნაკი

— ალო, ალო, ალო! თუ შეიძლება და თუ არ შეწუხდებით, ქალბატონ ვალიდას სთხოვეთ ტელეფონთან...

— რომელ ვალიდას?

— ალო, რა ბრძანეთ?

— რომელ ვალიდას-მეთქი?

— ალო, უკაცრავად, საიდან არის?

— ვინ გინდათ, ქალბატონო? სად რეკავთ?

— მე მინდა... უი, ეტყობა სხვაგან მოვხვდი, მაპატიეთ...

— მაპატიეთ, მაპატიეთ... ნომერს წესიერად უნდა აკრეფა და საბოდიშოც არაფერი გექნებათ.

— რა ჩემი ბრალია, ნომერი სწორად ავკრიფე, მაგრამ მოგეხსენებათ ჩვენი ტელეფონების ამბავი, ხშირად... მაგრამ მე მაინც ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

— მაგრამ, მაგრამ, — გულია გაწყალებული თქვენისთანებისაგანაც და ამ ტელეფონისგანაც. დაკიდეთ ყურმილი!

— შენ გაგიწყალდა მართლა გული, ვიღაცა ხარ! ეს ტელეფონი გუშინ ხომ არ დაგიდგეს! რა მოგივიდა, შე კაცო? არ იცი ვითომ რა დღეში ვართ ყველა ამ ტელეფონების გადამკიდე?

— მერე კარგია განა ეს?

— კარგი როგორ არის, მაგრამ ასეა და რას ვიზამთ. განა ამის გამო ერთმანეთი უნდა დავლანძღოთ? როგორ გეკადრებათ ქალთან ასე ლაპარაკი? ბოლოს და ბოლოს ზრდილობის ამბავია. კაცმა ეს როგორ არ უნდა იცოდეთ?

— შეხედეთ ერთი ამას, რას მიბედავს! კაცობას რომ მირცხვენ, ვიღაცა ხარ, როგორ, მიცნობ? გიცნობ?

— რას ქვია, ვიღაცა ვარ, მე ქმარი მყავს!

— ნუ მაშინებთ თქვენი ქმრით, ნუ მაშინებთ!

— არც გაშინებთ, მაგრამ თქვენ რომ ბრძანეთ, ვიღაცაო... რა იყო, თქვე დალოცვილო, ვალიდას სთხოვეთ-მეთქი, ამაზე აურზაური უნდა ატეხოთ?

— ამ ოჯახში სამი ვალიდაა, ბებია, შვილი და შვილიშვილი, რომელი გინდათ-მეთქი, აბა რა მეკითხა?

— მე ქალბატონი ვალიდა მინდა.

— სამივე ვალიდა იმ ასაკშია, რომ გოგონას ვერც ერთს ვეღარ უწოდებ. გასაგებია? ჰოდა, წარმოიდგინეთ, დღეში თითოს სამმა ვინმემ მაინც რომ დაურეკოს და სამივე ქალმა ცალ-ცალკე რომ ირბინოს ტელეფონთან, ჩვენს სახლში გაუჩერებელი სირბილი იქნება გამართული.

— ათასი ბოდიში, ბატონო. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ...

— რა გაცინებთ, რა?

— ახლა ამ უცნობ კაცს მასლაათს ხომ ვერ გაგიბამთ, მაგრამ ვალიდა... სამი ვალიდა... უი, დედა, რა არ ხდება ქვეყანაზე...

— რა თქვით? რატომ იცინით, რატომ?

— მაპატიეთ, თუ შეიძლება, ერთი წუთით, ჩემს უბის წიგნაკში ჩავიხედავ...

— ჩაიხედეთ, ჩაიხედეთ... შემდგისათვის კი დაიხსომეთ, რომ ჯერ წიგნაკში უნდა ჩაიხედოთ, ზუსტად გაარკვიოთ, ვინ გინდათ, რა გინდათ, რად გინდათ, და მერე კი. ბატონო, საჭიროება უფლებამოსილს თუ გაგხდით გალანძღოთ ის გასალანძღი ვიღაცა. თქვენ კი წიგნაკში არც ჩაგიხედიათ და ისე დაუმსახურებლად კაცობა შემილანძღეთ.

— ყველაფრის ღირსი ვარ, ბატონო. ჩავიხედე წიგნაკში და თურმე უშანგი მინდა, აი მოწაფეებს რომ ამზადებს მათემატიკაში... მაგრამ მოიცათ. ვალიდაც მინდა. თქვენი რომელიმე ვალიდა ინგლისურში ხომ არ ამზადებს მოწაფეებს? ბიჭი უმაღლესში მყავს მოსაწყობი. ცუდად კი არ სწავლობს. ახლა, მოგეხსენებათ, მაინც ემზადება ყველა, სხვაში ხომ არ გამოვარჩევ, რას იტყვის ხალხი? ჰოდა, ამის გამოა, ასე რომ ვარ არეული. თვალებში ვეღარ ვიხედები. რა მიწერია ამ უბის წიგნაკში ვეღარც ვარჩევ... თანაც მიუხედავად ჩვენი უსიამოვნო ლაპარაკისა დასაწყისში, თქვენი ხმა, მაინც... მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე, ცუდი არაფერი იფიქროთ... უი, სულ ავირიე...

— მდა! კი, გეტყობათ, რომ არეული ხართ, გეტყობათ...

— რათ? როგორ მიბედავთ! ნუ სარგებლობთ, რომ ტელეფონით ვერა გხედავთ...

— ნამდვილად თქვენი ბედია, რომ ვერც მე გხედავთ, თორემ თავიც არ გექნებოდათ ხალხში გამოსაჩენი.

— ენად რომ გაიკრიფე, თუ მართლა ვაჟკაცი ხარ, ახლო დამენახვე რომ პირში მოგახალო, რისი ღირსიცა ბრძანდები. მიკარნახეთ თქვენი მისამართი, მოვალ და, ვაი თქვენი ბრალი, ისეთ სახარებას წაგიკითხავთ, თქვენი მოწონებული.

— მოვრჩებით ჩემი თავი, მოსვლაზე თქვენ როგორ შეგაწუხებთ, ქალბატონო. მე თვითონ გეახლებით, ოღონდაც მიბრძანეთ, სადა გნახოთ?

— მასე, ხომ? აბა, მობრძანდით, მობრძანდით და ვნახავთ რა ჯენტლმენიც ბრძანდებით. ჩაიწერეთ: ჭავჭავაძის ქუჩა, ოპერის პირდაპირ მთაწმინდისკენ რომ ადის ის ქუჩაა, სახლი, ნომერი...

— ვალიდა! ვალიდა, შენა ხარ, ქალო?

— მე ვარ, კი.. შენ... ბიძინა ხარ?! თი, დაგაყარე მიწა, ბიძინა! მეც არა ვთქვი, ეს ხმა საიდან მეცნობა-მეთქი...

— საიდან რეკავ?

— საიდან უნდა ვრეკავდე? დილიდან ატუზული ვარ ინსტიტუტის მოსაცდელში. ამ ყინვაში დავრბივარ კორპუსიდან კორპუსში. დავდევ მასწავლებლებს, უბის წიგნაკი ავავსე მაგათი მისამართებითა და ტელეფონების ნომრებით, გულზე ვარ გასივებული, სალაპარაკოდ ვერავის წავაწყდი, ბოღმა მახრჩობს, ჩემს ხმას მე თვითონ ვეღარ ვცნობ, ქალი ქალს აღარა ვგევარ, შენ კი მანდ ერთობი, ხომ? არშიყობ ტელეფონით ხომ, უსინდისო, უსირცხვილო...

—ვალიდა, შენ თავსა ვფიცავ, ხმა ვეცნო, შენი ხმა, ამიტომ...

— ჰმ, ჯენტლმენი... მოგიგდებ ამ უბის წიგნაკს და თვითონ ირბინე აღმადაღმა მასწავლებლებთან, პატივცემულო ჯენტლმენო....

— ტირი, ვალიდა? ვალიდა, გამიგონე, გეფიცები, ვალიდა... ტუ... ტუ... ტუ...

ნანა კანდელაკი.

ფასდაუდებელი ამანათი

მთვარის შესწავლის სამუშაოები დედამიწაზე

დედამიწისაკენ ძვირფასი ტვირთით მოფრინავს „ლუნა-20". წინაა დიდი კვლევითი მუშაობა მთვარის კონტინენტის ნივთიერების შესასწავლად. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრებში მეცნიერები ემზადებიან ექსპერიმენტულ გამოკვლევათა ახალი ციკლისათვის. მათ მოელით მთვარეზე წარმოებული მუშაობის განგრძობა დედამიწაზე.

კაცმა რომ თქვას, მეცნიერთა „მიწიერი მუშაობა" მას შემდეგ არ შეწყვეტილა, რაც საბჭოთა „ლუნა-16" სადგურმა ჩამოიტანა მაშინ ჯერ კიდევ ბევრად იდუმალი მთვარის გრუნტის პირველი სინჯი. საკდესის კორესპონდენტი ეწვია ერთ-ერთ ლაბორატორიას, სადაც სწავლობენ მთვარის გრუნტს. ქვემოთ ქვეყნდება მისი რეპორტაჟი.

ლაბორატორიიდან რომ გამოვდიოდი, კვლავ შევჩერდი მასიურ ფოლადის ბოქსთან, სადაც მიმდინარეობდა მთვარის გრუნტის შესწავლის მორიგი ექსპერიმენტი. პაწაწა ალუმინის ლამბაქი, პირთამდე სავსე მთვარის ნივთიერებით, სხვადასხვაგვარ ხელსაწყოთა შორის სქელი გამჭვირვალე ილუმინატორის ახლოს დგას. ახლა კამერაში მძაფრი ყინვაა და ნამდვილი კოსმოსური ვაკუუმია. იქ შექმნილია ნორმალური მთვარის ღამის პირობები. ლუმინესცენტური ნათურების მოცისფრო შუქზე მომწვანო ელფერის მუქი რუხი არამიწიერი მინერალები რაღაც იდუმალად ციმციმებენ.

უცებ გაცოცხლდა პირველი შთაბეჭდილება, მკაფიო და დაუვიწყარი, როცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში ჟურნალისტებს უჩვენეს საბჭოთა ავტომატური „ლუნა-16" სადგურის მიერ მთვარიდან ჩამოტანილი ფასდაუდებელი „ამანათი". აკადემიკოსმა ა. პ. ვინოგრადოვმა მაშინ გაგვაფრთხილა, მთვარის გრუნტის შესასწავლად დიდი და გულმოდგინე მუშაობა მოგველისო.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური ლაბორატორიის სტუმართა შორის იმ დღეს აღმოჩნდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ა. ა. დუბოვი, იმ ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, რომლის კოლექტივსაც დაევალა გამოეკვლია მთვარის გრუნტი „საინჟინრო-ფიზიკური" პოზიციებიდან და რომელსაც მიეცა არამიწიერი ნივთიერების ნაწილი. ახლა მუშაობა გრძელდება. ფიზიკოსებმა ურჩიეს კოსმოსური ტექნიკის კონსტრუქტორებს მთვარის გრუნტის მიწიერ „შემცვლელთა რეცეპტურა, რომლებიც ძალიან გვანან მას მექანიკური სიმკვრივით, სითბური და ელექტრული თვისებებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია თვითმავალი ლაბორატორიების სავალი ნაწილისა და საბურღი აპარატების გამოცდის დროს.

— ავიღოთ თუნდაც მთვარის გრუნტზე მოძრაობის პრობლემა, — გვიამბო მეცნიერმა. — დღემდე ბევრს კიდევ სჯერა, რომ კრატერთა და ნაპრალთა ქაოსში მანძილის დაძლევის ყველაზე ეფექტიანი მეთოდია ხტუნვა. სიმძიმის ძალა ღამის მნათობზე ექვსჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე. იმავე ძალ-ღონის დახარჯვით შესაძლებელია ექვსჯერ უფრო სწრაფად იარო და ექვსჯერ მეტი მანძილი გაიარო. შევისწავლეთ რა მთვარის გრუნტის სინჯების მექანიკური სიმკვრივე და მთელი რიგი სხვა თვისებანი, გადაჭრით შეგვიძლია დავასკვნათ: „ხტუნვა" მთვარეზე სრულიადაც არაა ხელსაყრელი. მთვარის გრუნტიდან შეუძლებელია კარგად ახტომა — იგი ფეხიდან გაცლება, ჯდება, არ იზნიქება. ენერგიის მეტ ნაწილს ტყუილუბრალოდ დახარჯავ: ვინაიდან ხომ შეუძლებელია ახტომა ლაფიდან.

გაცილებით უფრო იოლია „სრიალი" ფხვიერ მთვარის ქანზე ან სიარული ისე, როგორც დადიოდა, მაგალითად „ლუნოხოდ-1" აპარატი.

იმ დროს, როცა პირველი ორთქმავლები იქმნებოდა, ყველაზე რთული პრობლემა აღმოჩნდა რელსები: „ცეცხლოვანი მანქანა", ცხადია მსუბუქი ვერ იქნებოდა: მას უნდა წაეყვანა ვაგონები, თვლების კონტაქტი რელსების ზედაპირთან ძალიან შეზღუდულია, და ძნელი იყო შეერჩიათ საკმაოდ გამძლე და დრეკადი მასალა მათთვის. მთვარეზე ამგვარი სახეობის ტრანსპორტი ვერ განვითარდებოდა. ეტყობა, საწევარებიც ვერ პოვებენ დიდ გამოყენებას მთვარის პირობებში. გაცილებით უფრო რენტაბელური იქნება გამოვიყენოთ ელექტრომობილებ ი ს ტიპის ავტონომიური სატრანსპორტო საშუალებანი, რომელთა კლასიკური წარმომადგენელიც გახლდათ საბჭოური „მთვარემავალი".

დედამიწაზე, სადაც ატმოსფეროსა და ნიადაგს შეუძლიათ სითბოს მასების შთანთქმა, ამგვარი პრობლემა არსებითად არ არსებობს. მაგრამ მთვარის მექანიზმები სხვანაირად უნდა შეიქმნას. ისინი ხომ კოსმოსური ვაკუუმის პირობებში მუშაობენ, რომელიც როგორც ცნობილია, ჩინებული თბოიზოლატორია.

იქნებ მთვარის გრუნტმა შთანთქას ჭარბი სითბო? ახლა საბოლოოდ დადგინდა, რომ ამის იმედი არ უნდა ვიქონიოთ: უჰაერო სივრცეში ქანი, რომელიც მთვარის სფეროს ფარავს, სითბოს ოცჯერ უფრო მეტად ცუდად ატარებს, ვიდრე დაქუცმაცებული დედამიწის ეული ბაზალტი.

ეს თავისებურებანი ართულებენ, ვთქვათ, ბურღვას, რომლის დროს გამოიყოფა ძალიან ბევრი სითბო. ერთი შეხედვით ისე გეჩვენება, რომ გრუნტის ზედაპირის ფენის გაბურღვა უფრო ადვილია, ვიდრე ფხვიერი ქვიშისა. ქვიშის ნამცეცები ხომ თავისი წიბურებით ძლიერ ფხაჭნიან ინსტრუმენტს, ან როგორც მეცნიერები ამბობენ, მათ უფრო მეტი აბრაზიულობა აქვთ. მთვარის გრუნტი კი მეტად ფხვიერი და სუსტია, მისი ნაწილაკები სულ ცოტა ერთ-ნახევარჯერ უფრო ნაკლებ აბრაზიულია, ვიდრე კვარცის ქვიშა. მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ საბურღ ინსტრუმენტზე გრუნტის ძლიერი მიკვრის შესაძლებლობა ზეღრმა ვაკუუმის პირობებში. ამან შეიძლება სწრაფად გაცვითოს ბურღი. საჭიროა დავიცვათ მისი გვერდითი ზედაპირები სპეციალური საპოხისფენით. როცა ქანში შევა, ინსტრუმენტი „ისრიალებს" ამ „ხალათში" და არ დაზიანდება. აგრეთვე დადგინდა, რომ მთვარის ქანების ბევრი თვისება იცვლება დაღამების კვალობაზე.

საინტერესო აღმოჩნდა რეგოლიტის — ამ მთვარის „ქვიშის" ელექტრული თვისებებიც, იგი ჩინებული იზოლატორია. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებით გულდასმით დავიცვათ მანქანები და აპარატები უსიამოვნო მოვლენებისაგან, რომლებიც ელექტრომუხტების დაგროვებასთან არის დაკავშირებული. დედამიწაზე ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივ არ წამოიჭრება. ჩვენი პლანეტის ტენიანი ნიადაგი კარგად ატარებს ელექტროდენს და ერთბაშად „იტაცებს" ასეთ მუხტებს მანქანასთან კონტაქტის დროს.

დაამთავრა რა ჩვენი საუბარი, ა. ა. დუბოვმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ლაბორატორიებში მთვარის გრუნტის კვლევის სამუშაოები ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

დ. დმიტრიევი,
საკდესის სპეც. კორ.

მოსკოვი.



მთვარის მიმტანი. ნახ. ბ. ლომიძისა.

ფოტორეპორტიორის თვალით



მრავალი წლის მუშაობა აკავშირებს საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიასთან **დიმიტრი მძინარიშვილს**, ნაყოფიერი საქმიანობისათვის მას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ფოტოგრაფია მისთვის საყვარელი საქმე გახდა. ოცდაათ წელზე მეტია მის გადაღებულ ფოტოსურათებს ვხვდებით ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე. იგი მთელი რიგი გამოფენების მონაწილეა.

დღეს ჩვენი რედაქცია მკითხველებს სთავაზობს დ. მძინარიშვილის რამდენიმე ფოტოსურათს. მარცხნივ ზემოდან — ცნობილი საბჭოთა ჩოგბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეტრეველი თავის შვილთან. მეორე სურათზე — როიალთან ნორჩი კომპოზიტორი ნანა გაბაშვილი; ქვემოთ — შავი გედები ახალი ათონის პარკში.

ბევრი საბჭოთა და საზღვარგარეთელი სტუმარი ჰყავს ცნობილ მცხეთელ მეყვავილეს მიხეილ მამულაშვილს. ზედა სურათზე მარჯვნივ — მ. მამულაშვილი თავის ბაღში მიესალმება გერმანელ სტუმარს დოქტორ ფრანკევიჩ ჰაინცს.

პატარა დიასახლისის მუზა — ასე უწოდა ამ სურათს ავტორმა (მარჯვნიდან მეორე სურათი). ქვემოთ — „ბათუმელი მეეტლეები".



საკვირველიც, სამწუხაროც...

არ იყო ძმარიო...

არ იყო ძმარიო... და დაასხეს წყალიო. ასეთია ამ წერილის შინაარსი. თბილისში ტელეფონების გაუმართავ მუშაობაზე ორი აზრი არ არსებობს. ალბათ დადგება დრო და ყველაფერი წესრიგზე იქნება — ტელეფონები, რომ იტყვიან, საათივით იმუშავებენ და კავშირგაბმულობის ამ შესანიშნავი საშუალებით ადამიანებს ნერვები არ აეშლებათ.

თბილისში დღესდღეობით, ასეა თუ ისე, ტელეფონები მაინც მუშაობენ. მაგრამ ერთ დღეს დიღმის მასივის ოთხი ათასი ტელეფონი მთლიანად დადუმდა, არცერთი აპარატი არ „სუნთქავდა". აქეთ ეცნენ, იქეთ ეცნენ თბილისის მარცხენა ნაპირის სატელეფონო კვანძის მუშაკები და როგორც იქნა დაზიანებას მიაგნეს. თურმე წერეთლის პროსპექტზე წყალსადენის მილი გამსკდარიყო. შეატყობინეს პირველი მაისის რაიონის წყალსადენის სარემონტო კანტორას. მაგრამ მათ აღდგენითი სამუშაოს დაწყება ერთი კვირით დააგვიანეს. წყალმა გააფუჭა შემაერთებელი კაბელი.

მათ თავიანთი საქმე კი გააკეთეს, მაგრამ დააზიანეს ტელეფონის კანალიზაცია და 600 წყვილიან შემაერთებელი კაბელი. ასევე მოხდა ავჭალის გზატკეცილზე — მაგისტრალური წყალსადენის მილებიდან წყალმა გამოხეთქა. მიწა გათხარეს თბილისის წყალსადენის სამმართველოს მუშაკებმა, და ექსკავატორმა ორასი აბონენტის მაგისტრალური კაბელი დააზიანა. ისედაც ცუდად მომუშავე ტელეფონებმა ხმა სულ ჩაიკმინდეს.

წყალსადენის სამმართველოს მესვეურებმა აინუნშიც არ ჩაიგდეს მარცხენა ნაპირის სატელეფონო კვანძის მუშაკების თხოვნა, რათა აღედგინათ მათ მიერ გაფუჭებული კაბელი. საინტერესოა, იციან თუ არა სამშენებლო ორგანიზაციებმა და კერძოდ წყალსადენის სარემონტო კანტორების ხელმძღვანელებმა მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილების არსებობის შესახებ იმის თაობაზე, რომ ყველა ორგანიზაცია ვალდებულია სამშენებლო სამუშაოთა ჩატარებისათვის ქალაქის საბჭოს სპეციალური ინსპექციისაგან აიღოს ნებართვა და წერილობით აცნობოს სამუშაოს დაწყების შესახებ იმ ორგანიზაციებს, რომელთა კომუნიკაციები მიწაშია.

ჩვენში კანონსა და დადგენილებას დიდ პატივს სცემენ. და რადგან წყალსადენის სამმართველომ მიწაში მეორე ორგანიზაციის კომუნიკაციები დაანგრია, ამის შესახებ წერილობით დაწვრილებით აცნობა ლენინის რაიონის პროკურატურას. იმის მაგიერ, რომ საქმით დაინტერესებულიყვნენ და დამნაშავე დაესაჯათ, მათ აი რა უპასუხეს მარცხენა ნაპირის სატელეფონო კვანძის უფროსს გ. გვილავას:

„გაცნობებთ, რომ თბილწყალსადენის № 2 საავარიოს მუშაკების წარმომადგენლების მიერ ჩვენი დავალების შედეგად ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ თქვენი ტელეფონების კავშირის გაწყვეტა არ არის გამოწვეული თბილწყალსადენის მუშაკების დაუდევრობით. რადგან მათივე დასკვნით კავშირგაბმულობის დაზიანებული ხაზი მილსადენის დაზიანების ადგილიდან დაშორებული ყოფილა რამოდენიმე მეტრით, ამიტომ დაზიანებული ადგილების აღდგენითი სამუშაოს ჩატარების ღირებულების გადახდევინების შესახებ შეგიძლიათ საკითხი დააყენოთ არბიტრაჟის წინაშე".

ხელმოწერა გაურკვეველია. პასუხის ენა და სტილი დაცულია.

ფიცი მწამს...

უქაღალდოდ თანამედროვე ადამიანი წარმოუდგენელია. იგი როგორც ჰაერი ისე სჭირდება ჩვენს ცხოვრებას. ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკი ქაღალდს დიდ ყურადღებას აქცევს და პატივს სცემს. ეს ძალიან კარგი და მისასალმებელია. აბა წარმოიდგინეთ სავაჭრო, სადაც შეძენილ საქონელს ქაღალდში გაუხვევლად მოგაწვდიან. ეს ჩვენს დროში თითქმის დაუშვებელია. მაგრამ სასურსათო მაღაზიებში ქაღალდი განსაკუთრებით რომ უყვართ, ყველა მომხმარებელმა კარგად იცის,



ისიც არ არის დასამალი, ზოგიერთი გამყიდველი პატარა პროდუქტის გასახვევად დიდ, სქელ ქაღალდს რომ ხმარობს... და თურმე ძალიან უყვართ ქაღალდი ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე ამიერკავკასიის თბილისის რკინიგზის მუშათა მომარაგების № 33 მაღაზიის მუშაკებს.

ეს მაღაზია და მისი განყოფილებანი სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობენ. ხორცის სექციის უფროსი გამყიდველი ა. ივანოვი მარჯვე კაცია. მას რამდენიმე წუთში შეუძლია ნაწილებად აქნას ათფუთიანი ძროხა. იცის, საიდან ამოჭრას სათბილო, ჩალაღაჯი, ბეჭი, არტალა...

იმ დღეს გადაუღებლად თოვდა. დახლში ა. ივანოვი ჯარასავით ტრიალებდა, თან ცალი თვალი ქუჩისაკენ ჰქონდა. უცებ მაღაზიასთან სატვირთო მანქანა გაჩერდა. მანქანიდან სამი რულონი ქაღალდი გადმოყარეს. ა. ივანოვი ციბრუტივით დატრიალდა. გარეთ გამოვარდა, არც აცივა, არც აცხელა და ქაღალდი მაღაზიაში შეაგორა.

— საიდან, კაცო, 560 კილოგრამი ქაღალდი?

— რა ვიცი, ჩვენი მაღაზიის გამგე ი. ვაშაკიძე პირადი საქმეების მოსაგვარებლად იყო გასული. ქუჩაში მანქანა რომ გაჩერდა, დავინტერესდი, რა მოიტანეს-მეთქი. ვიღაც უცნობებმა მანქანიდან სამი რულონი ქაღალდი გადმოტვირთეს და მითხრეს, თქვენი ქაღალდია და წაიღეთო. მეც რა მექნა, — ტუჩებში ეღიმება ივანოვს, — შემრცხვა, ქაღალდს ამ ზამთარში ქუჩაში უპატრონოდ ხომ არ დავტოვებდი?..

აუცილებლად ვიპოვნით!..

აეროდრომზე ჩემოდნიანი კაცი მივიდა. რასაკვირველია, ბილეთი წინასწარ ჰქონდა აღებული და რიგში ჩადგა რეგისტრაციაში გასატარებლად.

— უკაცრავად, მოქალაქევ, ჩემოდანი ან ხელბარგი თუ გაქვთ, ჩაგვაბარეთ და თბილისის აეროდრომზე მიიღებთ, — უთხრა აეროპორტის თანამშრომელმა და თან ბილეთზე შტამპი დაურტყა.

მგზავრმა ხელბარგი გადასცა, აუწონეს და შესაფერისი ტალონიც მისცეს, რომ თბილისის აეროპორტში ჩემოდანი აიღო. [illegible]

დადებულია ხვალისათვის. მართლაც „ტუ" მეორე დღეს ნაშუადღევს მოსკოვის აეროდრომიდან აფრინდა და გეზი თბილისისაკენ აიღო.

საღამოს თვითმფრინავი თბილისის აეროდრომზე დაეშვა. ზოგი მგზავრი ავტობუსებისა და ტაქსებისაკენ გაემართა, ხოლო დანარჩენები ხელბარგის გასაცემი ადგილისაკენ. დადგა რიგი, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დაიწყეს ხელბარგის გაცემა.

რიგის მიხედვით იმ კაცმაც წარადგინა ტალონი ჩემოდნის მისაღებად. მაგრამ მისი ჩემოდანი არ აღმოჩნდა.

— გთხოვთ მომცეთ ჩემოდანი! [illegible]

რაფერი სანუგეშო უპასუხეს.

იმ ღამეს მგზავრი შინ დასევდიანებული წავიდა. მეორე დილით მიაკითხა თბილისის აეროპორტის პრეტენზიების ინსპექტორს მ. ტატარნიკოვას, რომელმაც უთხრა:

— ნუ იდარდებთ, ვეძებთ, აუცილებლად ვიპოვნით.

ეს ამბავი 30 იანვარს მოხდა. მას შემდეგ ყოველდღე დადის თბილისის აეროპორტის პრეტენზიების ინსპექტორთან მოქალაქე ივანე პლატონისძე ასათიანი, მაგრამ კვლავ ასე უპასუხებენ:

— ნუ იდარდებთ, ვეძებთ, აუცილებლად ვიპოვნით.

ბ. ბახტურიძე.



ნახ. ი. კოპალეიშვილისა.

დიდოსტატთა უფლება — სიამაყე

ჟურნალმა „სმენამ" ამა წლის მესამე ნომერში გამოაქვეყნა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტის, „ფუტბოლ-ჰოკეის" მთავარი რედაქტორის ლ. ფილატოვის მოგონებანი სათაურით „ვუბრუნდებით საგაზეთო სტრიქონებს".

ვრცელ წერილში ავტორი გვესაუბრება ფეხბურთის შესახებ, ამ ამაღელვებელი თამაშის იმ საოცარი ძალის შესახებ, რომლითაც იგი იპყრობს მილიონთა გულს. წერილის საკმაოდ დიდი ნაწილი, მთელი ქვეთავი ეხება ჩვენს სახელოვან ფეხბურთელს მიხეილ მესხს. ჩვენი აზრით, მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება სპეციალისტის აზრი და შეხედულებანი, პირადი განცდები, რომლებიც დაკავშირებულია მიხეილ მესხთან.

ქვეთავს ვბეჭდავთ უკომენტაროდ.

ბრალდებაზე თავს დიდად არ იტეხენ. საჭირო სიტყვები მუდამ ხელთა აქვთ. ყველა ავყია და ჩლუნგ კაცს უმალ შეუძლია საშინელება შეთითხნოს.

„ქედმაღალი მესხი საკუთარ ფოტოგამოსახულებიან ჟურნალებს აგროვებს".

ეს სიტყვები ბუენოს-აირესში საუზმისას ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრისაგან მოვისმინე და მივხვდი, მან იგი კი არ შეთხზა, არამედ გაიმეორა, სიტყვა ქვას ჰგავდა, მისი სროლა ადვილი, ხოლო აცდენა მეტად ძნელი იყო.

იმ დილით მესხთან ერთად სასეირნოდ გამოვედი. ის დრო იყო, როცა ყველანი სამსახურისკენ მიიჩქარიან. ქუჩებს ავსებდა ერთნაირად ჩაცმულ მამაკაცთა სწრაფი ნაკადი: მიუხედავად იმისა, რომ სიცხე იყო მოსალოდნელი, ყველას მუქი კოსტიუმი, თეთრი პერანგი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. ბუენოს-აირესი, ყოველ შემთხვევაში ცენტრში — პარადული და საზეიმო ქალაქია. მიშა და მე მოკლემკლავიანი პერანგების წყალობით გამოვირჩეოდით, გვეჩოთირებოდა და ხალხს გულმოდგინედ ვათვალიერებდით, ვინძლო უჰალსტუხოდ კიდევ ვინმე შეგვემჩნია.

გაზეთის გამყიდველი თავის საქონელს ტროტუარზე აწყობდა. ჟურნალებს სწრაფად ფურცლავდა და მისი აზრით ყველაზე მიმზიდველ გვერდებზე გადაშლილს აფენდა. მე შემაჩერა მისმა მარდმა მუშაობამ. ზურგს უკან მიშამ როგორღაც უცნაურად ჩაიცინა.

— რა მოხდა? — მივუბრუნდი მას.

— ნახეთ, — მან ერთ-ერთ ჟურნალზე მიმითითა. ეს გახლდათ „გოლესი". არგენტინა-საბჭოთა კავშირის ხვალინდელი მატჩის ანშლანგის ქვემოთ სამი ჩვენი „ვარსკვლავი" გვიცქეროდა — იაშინი, ვორონინი, მესხი.

აქ მე გამახსენდა საუზმისას გაგონილი სიტყვები და გავიფიქრე, ნეტა რა უნდა მოხდეს-მეთქი.

მიშამ გამყიდველს ფული გაუწოდა, ორი ცალიო, თითებით ანიშნა, ერთი გულდაგულ დაახვია, ხოლო მეორე მე გამომიწოდა.

— ჩვენი გასეირნების მოსაგონებლად გქონდეთ...

ქუჩას გავუყევით.

— მიშა, იცით კი, რომ ზოგზოგებს არ მოსწონთ ეგ თქვენი საკუთარი ფოტოსურათების კოლექციონეროზი.

— ვიცი, — გულგრილად მიპასუხა მესხმა. მე გავჩუმდი. ცოტა ხანში კი თვით მიშა გამომესაუბრა.

— იცით, რაშია საქმე? პატარა ვაჟი მყავს. როცა წამოიზრდება, მე უკვე ფეხბურთელი არ ვიქნები. ბიჭი მკითხავს, ახალგაზრდობისას ვინ იყავიო. რას ვუპასუხებ? რას ვაჩვენებ? ჟურნალ „კროკოდილს" ხომ არა?!..

ცოტა ხნის წინათ ჟურნალმა „კროკოდილმა" ფეხბურთელებისათვის ირონიული პრიზების მინიჭება გადაწყვიტა. ერთ-ერთი პრიზი — „მრუდე ფეხი" ყველაზე ნაკლებშედეგიანი ფეხბურთელისათვის მიანიჭა მესხს. უწინარეს ყოვლისა ეს იყო უვიცობა ფეხბურთის თვალსაზრისით, იმიტომ, რომ მესხი გარემარბად თამაშისას განთქმული იყო იმ ჩაწოდებებით, რომლის შედეგადაც მის პარტნიორებს გოლები გაჰქონდათ. მახსოვს, როგორ მაჩვენა თავისი მეგობარი ზაურ კალოევი და მითხრა: „აი მან ბევრი გოლი გაიტანა. მაგრამ როგორ? ფრთიდან ისე ვახვედრებ მის თავს, რომ ბურთი კარისაკენ იჭრება, ასე არ არის? ზაურს, მცირერიცხოვან ასგოლიან თავდამსხმელთა ერთ-ერთ წარმომადგენელს, რბილად ეღიმება და ადასტურებს: „სწორი ხარ, მიშა, სწორი". ჩვენი პრესა მესხს საერთოდ არ ანებივრებდა, მისი თამაშის თავისებურებას ანგარიშს არ უწევდა, სადავოდ ხდიდა მის ფიგურას, მაშინ როცა უცხოეთის სტადიონებზე მას ჭეშმარიტ „ვარსკვლავად" აღიარებდნენ...

— ჰოდა, მეც ჩემს ვაჟიშვილს შინ მინდა ისეთი ჟურნალ-გაზეთები შემოვუნახო, რომ მერე, როცა წამომეზრდება, ჩვენება არ შემრცხვეს.

მეორე დღეს არგენტინისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდებმა ითამაშეს. მესხი კვლავ უგოლოდ დარჩა. ბურთი თავით გაიტანა ბანიშევსკიმ, მიშას ზედმიწევნით ხელსაყრელი ჩაწოდების შედეგად.

იმ „გოლს" დღესაც ვინახავ. მესხმა მისახსოვრა და მე კი ვცდილობ არ დავივიწყო, რომ დიდ ოსტატებს უფლება აქვთ ამაყნი იყონ.

მატჩი დამთავრდა. ჩვენ „მარაკანას" ბეტონის გრილ მისასვლელში ვართ. რაღაც ბორგავს და გუგუნებს. ეს ან ჩვენივე აღელვებული, აღუღებული სისხლია, ან სადღაც ჩვენს თავებს ზემოთ გასასვლელებისაკენ ნაკადად დაძრული ხალხის ფეხის ხმა. ფეხბურთელები — ზოგნი შხაპს იღებენ, ზოგნი, სველთმიანნი სავარძლებზე სხედან და იცვამენ. ყველანი ჩუმად ვართ, ლაპარაკი ჯერ ადრეა. სიჩუმე ადვილია, ცხადია, რომ ფრე ბრაზილიის ნაკრებთან „მარაკანაზე" მიღწევას ნიშნავს.

და ამ დროს თითქოს ჩარჩოდან ამოვარდაო, კარი კედელს ხმაურით მიეხალა. ზურგით ჩვენკენ, ისე როგორც იარაღით ხელში თავდამსხმელებს იგერიებენ ხოლმე, ფოტორეპორტიორები გამოჩნდნენ. ორ მწყობრ ხაზად მათ მოჰყვებოდნენ ერთმანეთის საოცრად მსგავსი მხარბეჭიანი, ჯმუხი ორმოცწლოვანი მამაკაცები. ამ მძიმე წონის „გზის ოსტატთა" მიერ შექმნილი დერეფნით მოდიოდა რობერტ კენედი, რომელსაც ჯუჯა თარჯიმანი ასწებებოდა.

ცალ მხარეს იჯდა მიხეილ მესხი. კენედი მიუახლოვდა მას, ხელი გაუწოდა. ახმაურდნენ ფოტოაპარატები, აფეთქდნენ ბლიტცები.

როგორც მონადირეებმა ნადირის გამოჩენისას, აზარტულად, მაგრამ თავდაჭერილად დაიგმინეს რეპორტიორებმა.

— მადლობას გიძღვნით უშესანიშნავესი თამაშისათვის, — თქვა კენედიმ და დიდხანს არ უშვებდა მიშას ხელს, თვალმოჭუტული მის სახეს აკვირდებოდა. შემდეგ თავი დაუკრა და სხვა ფეხბურთელებისაკენ გაემართა.

სპორტი

ასპარეზობათა პანორამა

● **ფეხბურთი.** გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში.

იაროსლავლის „შინიკისა" და პერმის „ზვეზდას" მატჩში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ, მაგრამ რადგან პირველი შეხვედრა „შინიკს" მოგებული ჰქონდა (4:1), იგი მეთექვსმეტედფინალში გავიდა.

კრივოი როგის „კრივბასმა" ვერ შეძლო რევანშის აღება ნალჩიკის „ავტომობილისტთან". პირველი მატჩის წაგებისათვის 1:2 და მეორეშიც დამარცხება განიცადა 1:3. „ავტომობილისტი" განაგრძობს თასისათვის ბრძოლას.

ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს დუშამბეს „პამირი" და კიშინიოვის „ნისტრუ". ორივეჯერ წარმატებას „პამირმა" მიაღწია—პირველი შეხვედრა მოიგო 2:1, მეორე — 1:0. „პამირი" მეთექვსმეტედფინალშია.

● **ალჟირში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის გასული წლის ვერცხლის პრიზიორი ერევნის „არარატი". გადამწყვეტი მატჩი ერევნელებს ჰქონდათ რუმინეთის უტა-სთან, გაიმარჯვეს 2:0 და პირველი ადგილი დაიკავეს.

● **აშხაბადში** გრძელდება ჭაბუკთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. მორიგი შეხვედრების შედეგები ასეთია: იუგოსლავია—გფრ 1:1, სსრ კავშირის მეორე ნაკრები — თურქმენეთი 3:0. პირველ ქვეჯგუფში ლიდერები არიან იუგოსლავიისა და გფრ-ის გუნდები სამ-სამი ქულა, მეორე ქვეჯგუფში — სსრ კავშირის მეორე ნაკრები — ოთხი ქულა.

● **ჩოგბურთი.** მოსკოვში ფინიში აქვს საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირს ჩოგბურთში. ერთეულთა ასპარეზობაში წარმატებით გამოდის ჩვენი თანამემამულე ა. მეტრეველი რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა ა. ივანოვი 7:5, 6:2, 7:6 და ფინალში გავიდა. მოულოდნელი აღმოჩნდა ევროპის ჩემპიონის ო. მოროზოვას შეხვედრის შედეგი ე. ბირიუკოვასთან. ჩემპიონი დამარცხდა 3:6, 6:7.

● **ჭადრაკი.** დამთავრდა „დინამოს" მოჭადრაკეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც საკავშირო პირველობის შესარჩევი შეჯიბრება იყო. 13 შესაძლებლიდან 10 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა ოსტატობის კანდიდატი ვ. დავითაშვილი. 9,5 ქულა მოაგროვა ოსტატობის კანდიდატმა გ. გამრეკელმა, 8,5 ქულით მესამე ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ვ. სემიონოვი. ეს სამი გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც თბილისში გაიმართება.

ტელევიზია

27 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის „მალვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ჯადოსნური ეკრანი, 11.30 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 12.15 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია სსრკ ისტორიაში, 13.00 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი". X-IV სერია, 14.00 — დოკუმენტური ფილმი „ადამიანი დედამიწაზე" ქართულ ენაზე, 14.20 — „კინოალმანახი", 14.45 — კინონარკვევი, 15.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმები: კიბერნეტიკა მედიცინაში და „მინდა ლამაზი ვიყო", 15.25 — „კინოაფიშა", 15.40—„ტელევიქ-3", 16.40— [illegible] მუსიკალური პროგრამა, 19.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — კინოდოკუმენტალისტის თვალით, 19.50 — მეხუთე საკავშირო კინოფესტივალის დღიური, 20.00 — კინონარკვევი „სასწაულები ცხაურში", 20.10 — ფერადი ტელევიზია. „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ჰამლეტი" (მეორე სერია), 23.40 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა შვეციიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — კინოპროგრამა. „წყნარი დღე ომის დასასრულს" და „ექო", 19.20 — კონცერტი, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინობიექტივი" (განმეორებით).

28 თებერვალი

პირველი პროგრამით

[illegible] 18.05 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი კონკურსი", 18.35 — მოსწავლეთათვის — „მზეო, აანთე კოცონი!", 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მულტპანორამა", 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. 1/16 ფინალი. „დინამო" (მოსკოვი) — „შახტიორი" (დონეცკი), II ტაიმი სოჭიდან, 20.45 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.15 — მეხუთე საკავშირო კინოფესტივალის დღიური, 21.25 — სპორტული მიმოხილვა, 21.40— კანონიერების სადარაჯოზე, 22.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — „მუსიკის სამყაროში" — სატელევიზიო მიმოხილვა.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (ტუმბოების მოწყობილობა და მოქმედება. V კლასელთათვის), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ხატვა (სიუჟეტური [illegible] სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 21.40 — მხატვრული ფილმი „მკვდარი სეზონი" (პირველი სერია).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

27 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი (დილით), ბაიადერა (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სალამურა (დილით), კოლმეურნის ქორწინება (საღამოს); რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — მოულოდნელი სტუმარი (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნუ გეშინია, დედა! (დილით და საღამოს); [illegible]

რედაქტორი
დ. მეძლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-93-09, პ/მ მდივნის — 99-78-80, სამდივნოს — 99-66-10, განყოფილებების: პარტიული — 99-87-61, [illegible]

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04455 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.